სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 ოქტომბერი 2005 №235 (2558) ფასი 50 თეთრი

გადავარჩით!

მხოლოდ 0:1 ბერძნებთან

AFP

რევიშვილი შვლის ნუკრი არ ყოფილა

GILOTCAV DABADEBIS DGES!

გერმანელებმა ცქიტიშვილს ქართულად მიულოცეს

3



ტურინი სულ სხვაა

ინტერვიუ პატრიკ ვიეირასთან

9

ნიკორამ თსუ ფინალში გაიყვანა

დუდუს თასი ახალი პატრონის მოლოდინშია

13

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

ათენი. 12 ოქტომბერი. 20 საათი. გ. კარაისკასი. 30 000 მაყურებელი

საბერძნეთი 1:0 საქართველო

1:0 პაპადოპულოსი (17)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი (ანატოლაკისი 64), კაპსისი, გუმასი, ზაგორაკისი (კაფესი 54), კაცურანისი, ბასინასი, სალპინგიდისი, პაპადოპულოსი, მანციოსი (ვრიზასი 46)
სათადარიგონი: კოცოლისი; ლიბეროპულოსი, გეკასი, ვინტრა
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

საქართველო: რევიშვილი, მჟავანაძე, ხიზანიშვილი, სალუქვაძე (წინამძღვრიშვილი 46), კალაძე, განუგრავა, კანკავა, გოგუა, კობიაშვილი, დ. მუჯირი, დემეტრაძე (გოცირიძე 86)
სათადარიგონი: სტურუა; კ. ჩხეტიანი, მენთეშაშვილი, გ. ქელიძე, ფიფია
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

გაფრთხილება: გოგუა (9), მუჯირი (27), ბასინასი (29), კანკავა (37), ვრიზასი (53), ხიზანიშვილი (84), გოცირიძე (90)

მსაჯები: მ. ტრეფოლონი; ა. კონზოლო, ლ. მაჯანი; მ. დე სანტისი (ყველა იტალია)

AFP ათენიდან

ლევან კობიაშვილს ბერძენი ქომაგები ალუშფოთდნენ

გადავრჩით!

დავით თავართქილაძე
ათენიდან

საქართველოს ეროვნული ნაკრები 4-4-2 სქემით გავიდა მინდორზე. მეკარე ნუკრი რევიშვილის წინ მარჯვნივ-მარცხნივ კახა მჟავანაძე და კახა კალაძე თამაშობდნენ, ცენტრში კი ხიზანიშვილ-სალუქვაძის დუეტი იყო. ნახევარდაცვაში საყრდენად გიორგი განუგრავა იდგა, ფლანგებისკენ გამწესდნენ ჯაბა კანკავა და გოგიტა გოგუა, ხოლო ლევან კობიაშვილმა გამთამაშებლის ადგილი დაიკავა; წინწაწეული თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე გახლდათ, დავით მუჯირი კი უფრო სიღრმიდან თამაშობდა.

შეხვედრა არცთუ სწრაფ ტემპში დაიწყო და პირველი მომენტი მე-9 წუთზე შეიქმნა, როცა ანგელოს ბასინასმა ჩააწოდა და იოანის გუმასმა თავით ააცილა. პირველმა ტალღამ გადაიარა და... მე-14 წუთზე საქართველომ კინაღამ გაიტანა: გოგიტა გოგუამ ბერძენთა შეტევა ჩაშალა და ისეთი პასი გამოუვიდა, რომ კობიაშვილი მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისთან პირისპირ დატოვა — ლევანმა მას თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ... ხარიხა!

ორიოდ წუთში რევიშვილმა აქტიურ ბასინასს აუღო ძნელი ბურთი, თუმცა სულ მალე ვერაფერს გახდა: იურკას სეიტარიდისმა მარჯვნიდან ჩააწოდა, დიმიტრიოს პაპადოპულოსმა კი თავით აჯობა მჟავანაძეს და 1:0. ეს მე-17 წუთზე მოხდა.

აღსანიშნავია, რომ სეიტარიდისი მარჯვენა ფლანგზე დაქროდა და კახა კალაძე მას ვერაფერს უხერხებდა.

ტაიმის შუაწელს ბერძნებს ორი ისე რა მომენტი ჰქონდათ: ბასინასის ნაკუთხურალზე მანციოსმა თავური ააცილა, მალევე კი იმავ ბასინასის გასროლილი რევიშვილმა მოიგერია. და ქართველთა მეორე სერიოზული ჩხვლეტა: 30-ე წუთზე კალაძემ მუჯირთან კედელი გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, კახამ ნიკოპოლიდისს ფეხებშუა მოუნდომა გატანა, მაგრამ ბერძენთა გოლკიპერმა ფეხით კუთხურზე გადააგდო ბურთი.

შესვენებამდე ისევ თანაბარი თამაში გაგრძელდა, თუმცა გატანა ბერძნებს უფრო შეეძლოთ, როცა მანციოსმა რევიშვილს ხელსაყრელი ადგილიდან უზუსტოდ გადაუგდო ბურთი თავზე.

შესვენებისას გაიოზ დარსაძემ მცველი ლაშა სალუქვაძე ფორვარდ რატი წინამძღვრიშვილით შეცვალა, რასაც ქართველთა ტაქტიკურ სქემაში გადაადგილებები მოჰყვა: კახა კალაძემ ცენტრში შეიწია, კობიაშვილმა მარცხენა ფლანგი ჩაიბარა და გუნდმაც ევროჩემპიონებს ორი თავდამსხმელით შეუტია.

53-ე წუთზე მუჯირს ჰქონდა კარგი მომენტი, როცა თვრამეტიოდე მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, ბურთი მცირედით ასცდა ნიკოპოლიდისის კარს. ცოტა ხანში დემეტრაძემაც იგივე გაიმეორა, მაგრამ მას მცველმა დაუფარა.

ნელ-ნელა უპირატესობას ჩვენები დაეუფლნენ, ბურთსაც მეტწილად ქართველები ფლობდნენ, ბერძნებმა კი, რატომღაც კონტრშეტევებზე თამაში არჩიეს — მასპინძელთა ერთი ასეთი მწვავე იერიში კი კინაღამ გოლით დასრულდა: შეტევა კაცურანისმა დაიწყო, შუისკენ შეიწია და ბურთი პაპადოპულოსს გადააწოდა. ერთადერთი გოლის ავტორმაც დუბლის გაკეთება მოიწადინა, თუმც რევიშვილმა არ დაანება, მისი მახვილი კუთხიდან დარტყმული კუთხურზე ნახტომით მოიგერია. რევიშვილმა ცოტა ხანში ზისის ვრიზასის გასროლილიც გააუვნებლა, მაგრამ შემდეგ ნუკრის ხარიხა შეეშველა, როცა იმავ ვრიზასმა თავური დაურტყა.

ტაიმის შუაში კი მოხდა ის, რამაც ბერძენი ქომაგი გაალიზიანა და აქედან მოყოლებული გულშემატკივრები გამაყრუებელი სტვენით და ყიჟინით ეგებებოდნენ ლევან კობიაშვილს — ერთ-ერთ ეპიზოდში კობიაშვილს აუტი უნდა ჩაეწოდებინა, „აუტჩიკმა" კი ბურთი დაუგვიანა, ლევანმაც იმიტაცია გააკეთა, ვითომ ბიჭს ბურთს ესროდა. ჰოდა, სწორედ „კობის" საქციელმა ალაშფოთა ქომაგი.

არ გაუმართლა შეცვლებშიც გაიოზ დარსაძეს — რატი წინამძღვრიშვილმა და ბექა გოცირიძემ თავი ვერაფრით გამოიჩინეს. და საერთოდ, ჩვენს გუნდში ყველაზე გამორჩეული ზურაბ ხიზანიშვილი გახლდათ, რომელმაც მართლაც კარგად ითამაშა, საქართველოს ნაკრების დაცვას უნარიანად და ჯიუტად მართავდა.

გამოვარჩევდი აგრეთვე რევიშვილსაც. სწორედ ამ ახალგაზრდა მეკარის დამსახურებაა, მხოლოდ 0:1 რომ წავაგეთ.

პრესკონფერენცია

გაიოზ დარსაძე: საქართველოს ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია და რისკზეც გვიწევს წასვლა ტრავმების თუ დისკვალიფიკაციის გამო ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა და ამიტომაც გავაკეთეთ აქცენტი ახალგაზრდებზე. მიმაჩნია, რომ ისინი დღითიდღე პროგრესს განიცდიან და ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების თამაშიც უფრო უკეთესი ხდება. სამწუხაროა, რომ წავაგეთ, მაგრამ მოთამაშეებს საყვედური არაფერი მაქვს.

ბერძენთა გერმანელი მწვრთნელის, *ოტო რეჰაგელის* პრესკონფერენცია შემდეგ იყო, მაგრამ ქართველობა უკვე წამოსასვლელად ვემზადებოდით, აეროპორტში გვაგვიანდებოდა.

ალბანეთი 0:1 თურქეთი
ყაზახეთი 1:2 დანია

საბოლოო ცხრილი

უკრაინა	12	7	4	1	18:7	25
თურქეთი	12	6	5	1	23:9	23
დანია	12	6	4	2	24:12	22
საბერძნეთი	12	6	3	3	15:9	21
ალბანეთი	12	4	1	7	11:20	13
საქართველო	12	2	4	6	14:25	10
ყაზახეთი	12	0	1	11	6:29	1

AFP ათენიდან

გეორგიოს ანატოლაკისი გიორგი განუგრავასა და რატი წინამძღვრიშვილთან ორთაბრძოლაში

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

I ჯგუფი
ანდორა 0:3 სომხეთი
ფინეთი 0:3 ჩეხეთი
ჰოლანდია 0:0 მაკედონია

III ჯგუფი
ლუქსემბურგი 0:2 ესტონეთი
პორტუგალია 3:0 ლატვია
სლოვაკეთი 0:0 რუსეთი

IV ჯგუფი
საფრანგეთი 4:0 კვიპროსი
ირლანდია 0:0 შვეიცარია

V ჯგუფი
ბელარუსი 0:1 ნორვეგია
იტალია 2:1 მოლდოვა
სლოვენია 0:3 შოტლანდია

VI ჯგუფი
ავსტრია 2:0 ჩრდ. ირლანდია
ინგლისი 2:1 პოლონეთი
უელსი 2:0 აზერბაიჯანი

VII ჯგუფი
ლიტვა 1:1 ბელგია
სან მარინო 0:6 ესპანეთი
სერბეთი 1:0 ბოსნია

VIII ჯგუფი
მალტა 1:1 ბულგარეთი
უნგრეთი 0:0 ხორვატია
შვედეთი 3:1 ისლანდია

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია
საპასუხო მატჩი

ბაჰრეინი 0:0 უზბეკეთი (1:1)

ამხანაგური მატჩები

კორეა 2:0 ირანი
უკრაინა 1:0 იაპონია
გერმანია 1:0 ჩინეთი

დანია

თასი
მერვედფინალი
რადნერსი 2:0 ჰორსენსი



ცქიტიშვილი ექიმებმა და ყაზახებმა შეაშინეს

GILOTCAV DABADEBIS DGES!

...დიახ, ზუსტად ასე ორიგინალურად მიულოცა 29-ე დაბადების დღე გერმანული „ვოლფსბურგის“ ვებგვერდმა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ლევან ცქიტიშვილს. მოგეხსენებათ, „ცქიტო“ ახლა ტრავმირებულია და მკურნალობს, იუბილარი კი სამი დღის წინ გახლდათ.

ლევან ცქიტიშვილს გუშინ ვოლფსბურგში რომ დავურეკეთ, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ დაბადების დღე, ცხადია, ჩვენც მივულოცეთ...

— „ვოლფსბურგმა“ ქართულად მოგილოცა და, ცხადია, გესიამოვნებოდა...

— რა თქმა უნდა, მაგრამ საიტი ჯერ არ მინახავს. აუცილებლად ვნახავ.

— დღეობას საკადრისადაც აღნიშნავდი...

— ჩვეულებრივად, ოჯახთან ერთად ქალაქში ვიყავი, საღამოს კი რესტორანში დავსხედით.

— ვოლფსბურგელი თანაგუნდელები არ გყავდა მიპატიჟებული?

— აქ არ იყვნენ. კლუბმა სამდღიანი დასვენება მოგვცა და ზოგი სანაკრებო შეკრებაზეა, უმრავლესობა კი ქალაქიდან გავიდა.

— შენს ჯანმრთელობაზეც ვთქვათ. ფეხი როგორ გაქვს?

— ვერ ვარ კარგად, კიდევ მტკივა.

— ექიმები რას გეუბნებიან?

— სამწუხაროდ, ზუსტ პასუხს ვერ ამბობენ. წესით, აქამდე ტკივილს უნდა გაევლო.

— ოპერაცია ხომ არ გჭირდება?

— არა მგონია. პირველადი დიაგნოზით, სარეაბილიტაციო კურსს ორი-სამი კვირა უნდა დასჭირვებოდა. ეს დროც გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კუნთი ჯერაც მტკივა.

— საქართველოს ნაკრების ყაზახეთთან თამაშს თუ უყურე?

— თამაში არ მინახავს, ანგარიში კი, ცხადია, ვიცი.

— მერე?

— რა ვთქვა, ყაზახეთთან 0:0-ით აბა, ვინ იქნება კმაყოფილი? ძალიან მეწყინა, რომ ვერ მოვიგეთ.

— გაიოზ დარსაძის თქმით, ნაკრებში ახლა ახალგაზრდების ინტეგრაციის პროცესი მიდის...

— ვიცი, გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი მოვიდა, მაგრამ იაშვილის და არველაძის დონის მოთამაშე რომ საჭიროა, რად უნდა ლაპარაკი? ბევრი გვყავს ასეთი, რომ მათ უარი ვუთხრათ?!

— ანუ?

— ჩვენზე თუ ამბობენ, დაბერდნენო, ნაკრებში ადგილი კი არ გვაქვს დაჯავშნული. გამოჩნდნენ ახლები, თუ ითამაშებენ კარგად და ეს ყველაფერი საქართველოს ნაკრებს წაადგება, პირველი ლევან ცქიტიშვილი წავა გუნდიდან.

— ნაკრებში რომ ერთბაშად სამი უცხოელი სპეციალისტი დანიშნეს, გეცოდინება...

— რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს მათზე.

— იტალიელი ფერარი და ფრანგი დევიმი შესაძლოა, მართლა არ იცოდე, მაგრამ ჰერბერტ ცანკერი ხომ გერმანელია და იქნებ რაიმე იცი მასზე?

— მას ნამდვილად არ ვიცნობ და არც ვიცი, ვინაა ან რას საქმიანობს.

— ცანკერი გაიოზ დარსაძეს ტალანტების აღმოჩენაში უნდა დაეხმაროს, გერმანიის ობერლიგისა თუ რეგიონალლიგის გუნდებთან თანამშრომლობსო...

— ალბათ, ეგრეც იქნება. ტალანტებს აქაურები სწორედ იქ ეძებენ.

გიორგი ვაშაკიძე

ქინქლაძე ოთხეულისთვის ემზადება

მომავალი ერთ თვეში ითქმება

გუშინ კიდევ ერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, ყაზანის „რუბინის“ ქართველი ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე ინგლისურ პრემიერლიგაში წლეულს აღზევებული „უიგანის“ სამიზნეა და ამ ფეხბურთელს, ალბათ, ზამთრის სატრანსფერო სეზონისას გადაიბირებსო. მსგავსი ამბავი ერთი-ორი თვის წინაც ითქვა, თუმც მაშინ გიორგი ქინქლაძე კვიპროსული „ანართოსისიდან“ „რუბინში“ გადავიდა და უკვე ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება. რა იქნება ახლა, მართლა აპირებს თუ არა ყაზანის დატოვებას ქართველი ნახევარმცველი?

— რუსულ პრემიერლიგაში ხუთი ტური დარჩენილი და „რუბინიც“ გაათკეცებული ენერგიით ემზადება. უეფას თასის საგზური გვსურს, საამისოდ კი ოთხეულში უნდა მოვხვდეთ, დღესდღეობით მეხუთეზე ვართ. სხვა გუნდში გადასვლაზე ჯერჯერობით არც ვფიქრობ, „რუბინთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი თვე მაქვს — გვითხრა გუშინ გიორგი ქინქლაძემ.

— შენით „უიგანის“ დაინტერესების თაობაზე რა იცი?

— ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

— შეგიძლია გვითხრა, რუსეთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „რუბინში“ დარჩები თუ არა?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ბოლო მატჩებისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადები.

— „რუბინიდან“ შენი წასვლა გუნდის შედეგზეა დამოკიდებული?

— არც ესაა უმნიშვნელო, თუმც, როგორც გითხარი, წასვლა-დარჩენაზე ჯერ ლაპარაკი არ არის, ერთი თვის შემდეგ კი ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— საქართველოს ნაკრებზე რას გვეტყვი?

— რა გითხრათ, ფედერაციის ხელმძღვანელები ამბობენ, სწორ გზაზე ვართ და შედეგიც გვექნებაო...

— დიდხანს ხომ არ მოგვიწევს ლოდინი?

— მათ უკეთ იციან, რაც [illegible] მომავალი გვიჩვენებს.

— ნაკრების თამაშის ხარისხზე რა აზრის ხარ?

— ნაკრების ბოლო მატჩები [illegible] მინახავს.

— ბოლო დროს ნაკრებში გამოძახების თაობაზე ფედერაციიდან არავინ დაგკავშირებია?

— არა, არავის გაუხსენებივარ.

— როგორ ფიქრობ, კარგ ფორმაში ხარ?

— ყოველ შემთხვევაში, [illegible] „რუბინის“ ძირითადი [illegible] ვთამაშობ და [illegible] კმაყოფილია. სხვას [illegible] გეტყვით, ნაკრების ხელმძღვანელობამ თავისი საქმისა თავად იცის.

კობა ინასარიძე

ტვენტეს გახოკიძის ფეხი დააკლდა



ჰოლანდიური „ტვენტეს“ ქართველმა ნახევარმცველმა გოგა გახოკიძემ ტრავმა მოიშუშა და შესაძლოა, შაბათს „ვალვაიკის“ წინააღმდეგ ერთი ტაიმი მაინც ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ გოგამ კლუბთან ერთად ორჯერ ივარჯიშა და ძველებურად ფეხს აღარ შეუწუხებია.

გახოკიძე ორი კვირის წინ, ზედ სანაკრებო შეკრების წინ დაშავდა და ეროვნულ გუნდსაც დააკლდა. გოგას მუხლის ძველი ტრავმა გაუმძაფრდა, რისაც თავის დროზე თვენახევარი მკურნალობდა. ახლა კი ის, „ტვენტეს“ ექიმების თქმით, ბოლომდე განიკურნა, გამოჯანმრთელდა და ნელ-ნელა ჩვეულ ფორმასაც დაიბრუნებს.

შევახსენებთ, გახოკიძის „ტვენტემ“ წლევანდელი სეზონი ერთობ უფერულად დაიწყო და სატურნირო ცხრილში მეთორმეტეა. ცუდ შედეგს გუნდის მწვრთნელი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ტრავმით ხსნის და ხშირ-ხშირად გოგა გახოკიძესაც ახსენებს ხოლმე, მისი უთამაშებლობა ჩვენთვის დიდი დანაკლისიაო, ამბობს რინი კულენი.

კობა ინასარიძე

უქომაგეთ მალხაზს

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველ მალხაზ ასათიანს რუსული პრემიერლიგის საუკეთესო მცველობის შანსი რომ აქვს, ახლახან გაუწყეთ — ასათიანი ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მცველებს შორის პირველ ადგილზეა.

ჩვენებურს კიდევ ერთი პრიზის მოგება შეუძლია. კერძოდ, „ლოკომოტივის“ ოფიციალური ვებგვერდი ატარებს გამოკითხვას 2005 წლის კლუბის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად.

სადღეისო მონაცემებით, გამოკითხვას ასათიანი ლიდერობს (ხმათა 38 პროცენტი), მეორეზე დინიარ ბილიალეტდინოვია (23 პროცენტი), ხოლო მესამეზე — დმიტრი სიჩოვი (15 პროცენტი).

ასე რომ, უქომაგეთ მალხაზს...

კახა შალამბერიძე

geo_geo_fan@hotmail.com

ჩვენი ცხოვრების...

ახლა, როცა ამ წერილებს საგაზეთოდ ვამზადებ, საბერძნეთ — საქართველოს მატჩი დაწყებულიც არ არის. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. მთავარი გულშემატკივრის განწყობაა, რომელიც თავადაც იცით, როგორიცაა...

GIOKHARA: *ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხს შევეხები და ნაკრებით დავიწყებ.*

ჩემი აზრით, კალაძე ნაკრების კაპიტანი მხოლოდ იმიტომაა, რომ „მილანში" თამაშობს. არადა, მისი კაი ფეხბურთელობა კაი კაპიტნობას სულაც არ ნიშნავს. კაპიტანი უნდა იყოს ცქიტიშვილი ან არველაძე. თუმცა რა იცი, ეგენი შეიძლება აღარც გამოიძახონ.

სიტყვამ მოიტანა და, დარსაძე არველაძეზე და იაშვილზე მიანიშნებს — გაბუტულები არიან და ვნახოთ, ვისი აჯობებსო. არადა, ამ შემთხვევაში არველაძე, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი, ამბობს: როცა გუნდს აქვს თეორიული შანსი მსოფლიოზე გასასვლელად, მნვრთნელი ვალდებულია უძლიერესი შემადგენლობა დააყენოს და ყველა თამაშის მოგება სცადოსო. ექსპერიმენტების ჩატარება უპასუხისმგებლობა და იდიოტობაა. დანიასთან წაგების მერე არველაძე რაღად გინდა, მიდი და აშენე „მომავლის გუნდი".

და კიდევ, გიო ახვლედიანმა დაწერა, 15 წელია სტადიონზე სკამები ვერ დადგესო და მართალიცაა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ფასადებს რომ ღებავ ულამაზო ფერებად და შადრევნებს დგამ უადგილო ადგილებში, მიდი რა, სკამები დადგი „დინამოზე" და ნაკრების ბაზას მიხედე! ხალხს ეგ უფრო არ ესიამოვნება?!

ისე, ბაზის და სტადიონის უქონლობაზე მორაგბეებისგან უნდა გვესმოდეს. ეგენი ამ დროს მსოფლიოს ოცეულში შედიან და არც ერთი აქვთ და არც მეორე.

კარგი კი იქნებოდა, სკამები „ეროვნულზე", მაგრამ რომ ვუფიქრდები, რად გინდა — იმ სკამებზე დამჯდომი ხალხი გვყავს? ბაზის წესიერად გასაკეთებელი ფული კი, რამდენადაც ვიცი, არსებობდა და სად გაქრა, ეშმაკმა უწყის.

MONARCH: *ძალიან მაგარ გაზეთს, მის ძალიან მაგარ მკითხველს და ბუარებს შორის უბუარესს გაუმარჯოს!!!*

წავიკითხე თქვენი რჩევა, უცენზურო სიტყვების ნაცვლად სამი წერტილი დასვითო. რა ამბავია, ამდენი სამი წერტილი ერთად თავში აქამდე არასოდეს მომსვლია.

ითხშაბათს „სარბიელში" ნოდარ ახალკაცის სურათი ვნახე, ლენინის პოზაში რომ დგას. ეგაა, „კეპკა" არ უჭირავს მეორე ხელში, თორემ „ნათელი მომავლისკენ" მასაც დიდი ბელადივით გაუშვერია ხელი...

ნოდარის „ნათელი მომავალიც" ისეთივე „დაბოლებაა", როგორიც ლენინის კომუნისტური სოციალიზმი.

აუ, მეც ვწერე რა, სატირულ-პოლიტიკურები. ამას არ ჯობდა ისევ ქართული მამა-პაპური?

მაგრამ თქვენ არ ბეჭდავთ, სამი წერტილიო და აჰა ...

პატივცემულ ავტორს ერთ შედარებასაც შევაშველებ: ვლადიმერ ილიას ძესაც და ნოდარ ნოდარის ძესაც ბავშვები უყვართ...

PAATA-777: *მართლა გვიშველეეეთთთ!!!!*

ალბათ ვერავინ აიტანს ისეთ რამეს, რასაც ქართველი ფეხბურთის გულშემატკივარი იტანს (მთავრობაც და ტელევიზიებიც ხელს გვიწყობენ, „ამტანი" ხალხი გაგვხადეს). ამ წუთში ახალგაზრდული ნაკრების მწარე დღეს ვადევნებ თვალს ინტერნეტში და 35-ე წუთზე 3:0 მგონი მეტისმეტია. ნეტა ამ დროისთვის დიდი ნაკრები რა დღეში იქნება? ალბათ, ნაკრებში „ზესტაფონიადა" დაიწყო. ჯერ მნვრთნელებით და მერე ფეხბურთელებით დაწყებული. ალბათ არ უშვებენ ზესტაფონელ ფეხბურთელებს საქართველოს დიდ ქალაქებში, მუზეუმების ან რამე საინტერესოს სანახავად და ფედერაციის ბოსებმა მათი განათლების ამაღლება ნაკრებში გამოძახებით და საზღვარგარეთ სტუმრად ჩასატარებელი მატჩებით გადაწყვიტეს...

ნეტა ვიცოდე, თუ როდესმე გვეშველება რამე? არა მგონია. თავად გავცემ ამ კითხვას პასუხს: საქართველოში მგონი ფეხბურთი საერთოდ უნდა გავაუქმოთ და მივხედოთ იმას, რისი თავიც გვაქვს...

ექსკურსიაზე ერთი ძველი ამბავი გამახსენდა. ერთი ქართველი ფეხბურთელი წლების წინ რომში მოხვდა და რომ დაბრუნდა ჰკითხეს, როგორ მოგეწონა. იმან კიდევ უპასუხა, მაგარი ქალაქია, მაგრამ ცენტრში ერთი დანგრეული შენობა დგასო. კოლიზეუმს გულისხმობდა.

LADOSHVELA: *ადამიანს ყოველთვის ებადება კითხვები, ყოველთვის ეძებს მათზე პასუხს, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა კითხვაზე ვერ პოულობს ხოლმე მას. „სარბიელის" ამ რუბრიკას დიდი ხნის არა, და ისტორია კი ნამდვილად აქვს და ამ ისტორიის ფურცლებს თუ გადავხედავთ, იმ უამრავ ნაზრევს თვალს თუ გადავავლებთ, ყველა მათგანში ვიპოვით კითხვებს. ამ კითხვებს კი, ყველას ერთად, მხოლოდ ერთი რამ აერთიანებს, ერთი თემა და ერთი წუხილი. და ეს ერთი რამ ქართული ფეხბურთია და ყველა კითხვა მხოლოდ ჩვენი ფეხბურთის ავ-კარგს შეეხება. კითხვები იმდენია, რომ მასზე პასუხის გაცემას ალბათ ვერავინ შეძლებს. მაგრამ მოდით, ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ ყოველივე ამას, ღრმად დავუკვირდეთ ჩვენი ფეხბურთის მინუსებს და პლუსებს. მგონი, ყველა კითხვაზე ერთ ამომწურავ პასუხსაც დავინახავთ... დიახ, ყველა ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს და ამ პასუხს „საქმე" ჰქვია.*

მოდით, ყველამ ჩვენი საქმე გავაკეთოთ. ვიცი, რომ ძნელია საქმის კეთება, მით უმეტეს, თუ ამ საქმეში არც ცოდნა გყოფნის და არც გამოცდილება. ძნელია სხვისი აზრის მოსმენა და მით უმეტეს გაზიარება, მაგრამ სულმნათი ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, ადვილი არაფრის კეთებაა. ხოლო ამ სიადვილით სადამდე მივიდა საქმე, ყველა კარგად ხედავს. ასე რომ, მოდით, მეე ზოვიდან დაწყებული, მენეჯერით და მწვრთნელით გაგრძელებული და პრეზიდენტით დამთავრებული, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ და მალე, ძალიან მალე, დავინახავთ თუ როგორ ნავა საქმე ყველგან და ყველაფერში.

P.S. გმადლობთ „სარბიელო", ყველაფრისთვის გმადლობთ.

ყველამ თავისი საქმე აკეთოსო, პური მეპურემ გამოაცხოსო და მისთანები, რაც თავი მახსოვს, მესმის. სხვა რამეც ხშირად გამიგია. მაგალითად, შეაყარე კედელს ცერცვიო, ან მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო...

AKHITIRI: *არ ვიცი, რითი დავიწყო, საქართველოს ფეხბურთში დღეს რომ ქაოსია, ისეთი არასდროს ყოფილა. ახალგაზრდული ნაკრები თამაშის დაწყებიდან 32-ე წუთზე 3:0 აგებს ბერძენ თანატოლებთან. და ეს არის ქართული ფეხბურთის მომავალი? ასეთი მომავლით გვინდა ქართული ფეხბურთის შენება? ქაოსია. არ შეიძლება ასე, გაახილეთ თვალები და მოუსმინეთ გულშემატკივარს. მივმართავ ბატონ ნოდარს! გაუშვით გაიოზი ნაკრებიდან, რას ერჩი, რა დაგიშავა ამ კაცმა. მე პირადად გაიოზ დარსაძის მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი მეცოდება. ცოდოა კაცი, რომელიც ვერ ხედავს და არ ესმის და მე არ მინდა საცოდავი კაცი ჩვენი ნაკრების სათავეში. გაუშვი, ის ხომ ვერასდროს მიხვდება თავისით წასვლას. ნუ გადაამტერებთ ხალხს. ფეხბურთი ხომ სახალხო სპორტია. კიდევ გაქვს დრო და ყველანაირი ობიექტური მიზეზი მისი ნაკრებიდან გაშვების. ფეხბურთის მართვა ხომ დაახლოებით იგივენაირად შეიძლება აღიქვა, როგორც ფეხბურთის თამაში. როდესაც ერთი კონკრეტული ფეხბურთელი ვერ თამაშობს, მას ცვლიან. შეცვალე და თუ გინდა, ნუ გაუშვებ. იგი ხომ დიდი თეორეტიკოსია, როგორც ამბობენ. იგი ნამდვილად შესაცვლელია, ვერ თამაშობს, არც უთამაშია და არც თამაშის მართვა იცის, როგორც აღმოჩნდა. და კიდევ ერთხელ მოგმართავთ ბატონო ნოდარ, შეცვალეთ გაიოზი და იშოვით ფულს. თქვენ ვერც კი ხვდებით, რომ გაიოზის ნაკრებში და საერთოდ ასეთ ფეხბურთში ფულს არავინ მოგცემთ.*

პატივცემულ გულშემატკივარს შევკადრებ: ტყუილად გაისარჯეთ. ბატონი ნოდარი ბატონ გაიოზს არ გადააყენებს და აი, რატომ: ისინი ერთი გუნდის წევრები არიან და ისეთი შედულაბებული გუნდი აქვთ, ვერანაირი ძალა ვერ დაშლის. ეს თქვენ ფიქრობთ, რომ ბატონი გაიოზი კარგად ვერ „თამაშობს", მაგრამ ბატონ ნოდარსაც მივუგდოთ ყური. გუშინდელ „სარბიელში" მისი ინტერვიუდან ნათლად ჩანს, რომ პრეზიდენტი მთავრი მწვრთნელის მუშაობით უზომოდ კმაყოფილია.

GIORGIFUN: *გამარჯობა „სარბიელო". შენ ყოველთვის გულშემატკივრის ენით ლაპარაკობ. საინტერესოა, საქართველო როდემდე უნდა დარჩეს ექსპერიმენტების ქვეყნად. ჯერ იყო და, ორი მთავარი მწვრთნელი გვყავდა. მერე ფედერაციის პრეზიდენტი მთავარ მწვრთნელად. ახლა კი ფეხბურთის თეორეტიკოსების მთელი არმია ნაკრების მესაჭედ. აქამდე ვიცოდით, რომ თეორია პრაქტიკის გარეშე უსარგებლოა. დღეს ფედერაცია ცდილობს საწინააღმდეგო დაგვიმტკიცოს. ჭკუა ვეღარ უნდა ვისწავლოთ ბოლოს და ბოლოს? გასაგებია, რომ ფედერაციას ამ ეტაპზე ფული არა აქვს და აქაურ მწვრთნელს უნდა შეეგეგუოთ. ხომ შეიძლებოდა გამოცდილი სპეციალისტი შეერჩიათ (ვიმეორებ — ამ ეტაპისთვის, სანამ საშუალება არა გვაქვს). ასეთი კაცი ერთადერთია ჩვენში — რევაზ ძოძუაშვილი. სულ მცირე, ახალგაზრდული ნაკრების სათავეში ხომ მაინც შეიძლებოდა მისი დანიშვნა? რამდენი პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი აღმოუჩენია. რითია გერმანელზე ნაკლები, მაგრამიცით, რაშია საქმე? ის ახალკაცის გუნდის წევრი არ არის და დღეს ხომ პროფესიონალიზმზე მეტად ეს ფასობს. ისე, ჩვენ ქართველები ზედმეტად ამაყი ხალხი ვართ. მართალია, ამის საფუძველიც გვაქვს, თუნდაც ფეხბურთში, მაგრამ ხალხო, რეალობის გრძნობა ხომ არ უნდა დავკარგოთ? მესმის, რომ ყაზახეთის ნაკრებს უნდა ვუგებდეთ, მაგრამ ამ ეტაპზე მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გასვლა მეტისმეტია. ბანალური ფრაზაა, მაგრამ შეხედეთ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს, აინტერესებს ვინმეს? გარწმუნებთ, ქართული ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი ვარ. უწინ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დავდიოდი, როცა დონე უფრო მაღალი იყო, მაგრამ ეს დონე რომ სულ უფრო და უფრო ეცემა, ცხადია. ვინც აქ რამეს წარმოადგენდა, რუსეთის ბანძ გუნდებში გაიქცა. აბა, თავმოყვარე ფეხბურთელი, ვინც ქართული ფეხბურთის და ბოლოს და ბოლოს, საკუთარ მომავალზე ფიქრობს, რუსეთის დაბალ ლიგაში, ან კვიპროსზე (და ასე შემდეგ) წავა? თან ახალგაზრდები. პატრონი ან დამრიგებელნი მაინც არა ჰყავთ? ეტყობა, რომ არა.*

ახლა იტყვიან, ლატვია ხომ გავიდა ევროპის ჩემპიონატზე, რა, მაღალი დონის ეროვნული ჩემპიონატი აქვსო? ჯერ ერთი, რიგის „სკონტო" „დინამოზე" სოლიდური გუნდია და მენეჯმენტიც საიანადო დონეზეა. იგივე შეიძლება ითქვას ლატვიის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციების მენეჯმენტის შედარებისას. მეორე: ლატვია ევროკავშირის წევრია და იქ ცხოვრების დონე ჩვენსაზე გაცილებით მაღალია. მესამე: ლატვიელი ბიზნესმენები პოლიტიკაში კი არ გარბიან და საკუთარ პარტიებს აყალიბებენ, ფულს მუთაქებში და ოფშორულ ზონებში კი არ ინახავენ, არამედ პატრიოტული საქმისთვისაც იყენებენ. საქართველოში ვიღაცამ ნახევარ მილიონ ევროდ ღირებული „როლს-როისი" შეიძინა. ასეთი ორი მანქანა გაყიდულა. რა ზეა ამის შემდეგ ლაპარაკი? მეოთხე: იმათ ერთი ნორმალური გამქცევი თავდამსხმელი მაინც ჰყავთ — ვერპაკოვსკისი. დაბოლოს, ნიშნის მოგებით ვიტყვი, რევაზ ძოძუაშვილმა იმუშავა იმ ნაკრებში. აღარაფერს ვამბობ ყბადაღებულ ქართულ მენტალიტეტზე, რომელიც მართალი რომ გითხრათ, მაღიზიანებს, თუმცა, სამწუხაროდ, სიმართლეა.

მეც და ავტორსაც, როგორც ირკვევა, ორივეს ერთი და იგივე რამ გვაღიზიანებს.

ექსპერიმენტები კი მარიოლა ვეიყვარს.

მახსოვს, ფეხბურთზე თავგადაკლულ ძმაკაცს დავურეკე, აი ცდას მოგცემ, თუ გამოიცნობ, ნაკრების მწვრთნელად ვინ დანიშნეს-ძეყოფთან დავეხმარე, ქართველია-თქო. ვინც კი გაეგონა, ყველა ჩამოიყალა, გაგიჟდა კაცი, როგორ ვერ გამოიცანიო. კი ხანს რომ ვაწვალე და ბოლოს ვუთხარი, მერაბ ყორდანია-თქო, საწყალი მთელი კვირა დამუნჯებული დადიოდა.

ბატონი რევაზის კი, მომკალითი და, დიდი იმედი არ მაქვს. არც იმის მჯერა, რომ ქართული ფეხბურთი ლატვიურზე უკეთესი არ შეიძლება იყოს. და თუ რაღაცა არის პირიქით, ავტორი თავადვე გვეუბნება — მენეჯმენტი.

აი, რაში აბანდებენ ფულს ლატვიელი ბიზნესმენები ნაკლებად მაიტერესებს, ხოლო ქართველები რომ არ აბანდებენ ფეხბურთში, არც მიკვირს და არც ვძრახავ — ვინმემ შეუქმნა ისეთი გარემო, რომ ფეხბურთში ფულის ჩადება დაინტერესდნენ? რამდენადაც ვიცი, არა.

WEB-ოსტატი გუარა

ჩემი ცოლი ჩემპიონია

რაფაელ ვან დერ ვაარტი მეუღლესთან ერთად


რადკა კოჩუროვა

გერმანულმა „ბილდმა“ ბუნდესლიგელი მოთამაშეების ცოლები მოიკითხა და გამოიკითხა, რომელი ფეხბურთელის მეუღლეა უფრო კოხტა და ლამაზი.

რაფაელ ვან დერ ვაარტის მშვენიერმა ცოლმა, 27 წლის სილვიმ, კონკურენტები გვარიანად ჩამოიტოვა. გამოკითხულთა 51 პროცენტი ჰოლანდიელი ლამაზმანით მოიხიბლა. სილვიმ ექვსჯერ მეტი თაყვანისმცემელი მოაგროვა, ვიდრე ტომაშ როსიცკის მეუღლე რადკა კოჩუროვამ.

თერთმეტ საუკეთესოში ანუ ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ ჟიზელ სანტა კრუზი და კოლერის გრძელი საბნის მეწილე პედვიკა კოლერი, ასევე ოლივერ კანის მეორე ცოლი და მიხაელ ბალაკის სატრფო.

ანრის ჯიბეს უსქელებენ ვენგერი ნიურნბერგში


ტიერო ანრი


არსენ ვენგერი

ტიერი ანრის ახალ კონტრაქტს უმზადებენ. ფრანგი თუ დაკბულდა, კვირაში 82 ათას გირვანქას მიიღებს და კლუბის ისტორიაში ყველაზე მსუყეჯამაგირიანი ფეხბურთელი გახდება. ეს ოდნავ მეტია, ვიდრე პატრიკ ვიერას ჰქონდა.

„ანრისთან ჯერ არ გვისაუბრია — თქვა „არსენალის“ თავმჯდომარემ პიტერ ჰილ-ვუდმა — ის კი მართალია, რომ მას შანსი აქვს, კლუბის უძვირესი მოთამაშე გახდეს. ანრი ასეთ დაფასებას ნაღდად იმსახურებს. ჩვენს გვსურს, საკითხი სეზონის ბოლომდე მოვაგვაროთ. თუმც ანრის აქვს უფლება, წავიდეს გუნდიდან, თუკი მოინდომებს. მის პირად ცხოვრებაში ვერ ჩავერევით, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ „არსენალში“ დარჩეს“.

როგორც ჩანს, ფრანგს ჯამაგირის გაზრდა მოუთხოვია, მაგრამ ორი დღის წინ არსენ ვენგერი სხვანაირად „ჭიკჭიკებდა“, ტიერი ანრი არ ვაჭრობს, ისედაც დარჩებაო.

უკვე რა ხანია, ლაპარაკობენ, რომ „მეთოფეთა“ მეგოლეს გული „ბარსელონისკენ“ მიუწევს. ჰილ-ვუდის ახალ გარიგებას ხელი თუ არ მოაწერა, მომავალ ზაფხულს ალბათ ლონდონიდან აიბარგებს. ტიერი ანრის „არსენალთან“ კონტრაქტი 2007 წლის ივნისში ეწურება.

არსენ ვენგერის გუნდს შეტევა „გაუცვდა“ და ფრანგი მწვრთნელი ახალ ფორვარდებს ეძებს. ვენგერი ამჯერად „ნიურნბერგის“ ფეხბურთელ შტეფან კისლინგს მიადგა, რომელიც გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია. კისლინგის აგენტმა დაადასტურა, რომ „არსენალის“ მწვრთნელი რამდენჯერმე დაუკავშირდა და შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა, მაგრამ აგენტი არ ჩქარობს. მისი თქმით, ფეხბურთელისთვის უმჯობესია, კიდევ ერთი-ორი წელი „ნიურნბერგში“ დარჩეს.

ვაჟა ხუციშვილი

ჯეტუ მუქთად


მარტინ ჯეტუ

„ბოლტონმა“ 31 წლის ფრანგი მცველი მარტინ ჯეტუ გადაიბირა, სემ ალარდაისის გუნდს ტრავმების გამო დაცვაში პრობლემა შეექმნა და ჯეტუ სეზონის ბოლომდე დაეხმარება. ფრანგმა რამდენიმე დღის განმავლობაში ახალ კლუბთან ერთად ივარჯიშა. მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა მისი გარჯით და დაიტოვა.

„ტრავმებმა ფეხბურთელები გამოგვაკლო და შევსება აუცილებლად გვჭირდებოდა — თქვა სემ ალარდაისმა — როცა შევიტყვე, რომ მარტინი თავისუფალი აგენტი იყო, მაშინვე მისი გადმოყვანა გადავწყვიტე. ჯერ სრულ ფორმაში არაა, მაგრამ მაინც აქვს შანსი „ჩელსისთან“, შემდეგ კი უეფას თასზე „ბეშიქთაშთან“ ითამაშოს“.

მარტინ ჯეტუმ „მონაკოში“ 2000 წელს საფრანგეთის ჩემპიონატი მოიგო. მერე 6 მილონი გირვანქის სანაცვლოდ „პარმაში“ გადავიდა, საიდანაც „ფულემში“ გაანათხოვრეს და ორი წელი პრემიერლიგაში გაატარა. „ფულემიდან“ „ნიცაში“ აღმოჩნდა და ხუთივეში მხოლოდ ხუთი მატჩი ითამაშა, კონტრაქტი კი გასულ ივნისს დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა.

ვაჟა ხუციშვილი

ჯოვანი ტრაპატონი დარწმუნებულია, რომ ამჟამინდელ „იუვენტუსს“ სკუდეტოს მოგებაც შეუძლია და ჩემპიონთა ლიგისაც, ისევე როგორც მაშინდელ „იუვეს“, რომელსაც „ტრაპი“ წვრთნიდა

ტანკს მაგონებს

„ეს გუნდი ძველ „იუვენტუსს“ მაგონებს — თქვა ტრაპატონიმ — მე ოთხ სხვადასხვანაირ „იუვეში“ მიმუშავია. პირველში სულ იტალიელები იყვნენ, მეორეში დომენიკო მაროკინო და პიეტრო პაოლო ვირდისი მყავდა, მესამეში — პლატინი და ბონეკი ბრწყინავდნენ, მეოთხეში კი ბაჯო, მიოლერი და ვიალი. შემადგენლობა იცვლებოდა, მაგრამ ჯილდოებს ვიგებდით.

დღევანდელი „იუვენტუსი“ ტანკს მაგონებს. ფიზიკურად ძალიან ძლიერი და იმავდროულად ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს. მე განსაკუთრებით ის „იუვენტუსი“ მომწონდა, რომელშიც კაბრინი, ბეტეგა, შირეა, ტარდელი და კაუზიო თამაშობდნენ.

ფაბიო კაპელოს კარგი შანსი აქვს, ამ შემადგენლობით სკუდეტოც მოიგოს და ჩემპიონთა თასიც“.

ჯოვანი ტრაპატონიმ კი ტურინულ კარიერაში ბლომად ჯილდოები მოიხვეჭა. ინებეთ: ჩემპიონთა თასი (1985), სკუდეტო (1977, 1978, 1981, 1982, 1984, 1986), უეფას თასი (1977, 1993), თასების მფლობელთა თასი (1984), ევროპის სუპერთასი (1985), საკონტინენტთაშორისო თასი (1985) და იტალიის თასი (1979, 1983).

ვაჟა ხუციშვილი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

I ჯგუფი

ჩეხეთი 2:4 ჰოლანდია
ფინეთი 0:1 რუმინეთი

ჰოლანდია	10	7	2	1	21:7	23
ჩეხეთი	10	6	3	1	26:8	21
რუმინეთი	10	6	1	3	17:8	19
მაკედონია	10	2	3	5	9:18	9
ფინეთი	10	2	1	7	7:16	7
სომხეთი	10	1	2	7	2:25	5

III ჯგუფი

პორტუგალია 3:0 ლატვია
ლუქსემბურგი 1:1 ესტონეთი
სლოვაკეთი 1:0 რუსეთი

პორტუგალია	10	10	0	0	29:3	30
რუსეთი	10	6	1	3	24:6	19
სლოვაკეთი	10	6	1	3	12:9	19
ლატვია	10	3	3	4	10:16	12
ესტონეთი	10	0	3	7	4:24	3
ლუქსემბურგი	10	0	2	8	4:25	2

IV ჯგუფი

საფრანგეთი 2:0 კვიპროსი
ირლანდია 0:1 შვეიცარია

საფრანგეთი	8	6	1	1	13:5	19
შვეიცარია	8	4	3	1	15:8	15
ისრაელი	8	4	3	1	11:7	15
ირლანდია	8	1	2	5	10:14	5
კვიპროსი	8	0	1	7	2:17	1

V ჯგუფი

ბელარუსი 2:3 ნორვეგია
იტალია 1:0 მოლდოვა
სლოვენია 3:0 შოტლანდია

იტალია	10	8	1	1	16:3	25
სლოვენია	10	4	3	3	13:13	15
ნორვეგია	10	4	2	4	14:13	14
ბელარუსი	10	4	1	5	20:19	13
მოლდოვა	10	3	2	5	8:12	11
შოტლანდია	10	1	3	6	6:17	6

VI ჯგუფი

ავსტრია 0:3 გერმანია
უელსი 3:0 აზერბაიჯანი
ინგლისი 4:1 პოლონეთი

გერმანია	10	7	3	0	24:5	24
ინგლისი	10	6	3	1	21:7	21
პოლონეთი	10	3	4	3	18:18	13
ავსტრია	10	3	2	5	9:14	11
უელსი	10	3	1	6	9:21	10
აზერბაიჯანი	10	0	3	7	1:17	3

VII ჯგუფი

ლიტვა 1:2 ბელგია
სან მარინო 1:10 ესპანეთი
სერბეთი 5:1 ბოსნია

ბელგია	10	7	3	0	25:6	24
სერბეთი	10	7	1	2	29:11	22
ესპანეთი	10	6	2	2	37:8	20
ბოსნია	10	3	1	6	17:20	10
ლიტვა	10	3	1	6	9:16	10
სან მარინო	10	0	0	10	4:60	0

VIII ჯგუფი

უნგრეთი 2:2 ხორვატია
შვედეთი 1:4 ისლანდია
მალტა 1:1 ბულგარეთი

ხორვატია	10	8	1	1	14:6	25
უნგრეთი	10	6	1	3	12:7	19
შვედეთი	10	6	0	4	16:12	18
ისლანდია	10	4	1	5	15:11	13
ბულგარეთი	10	2	1	7	9:17	7
მალტა	10	1	2	7	3:16	5

ფინალურ ტურნირზე გამსვლელი 8 გუნდის ვინაობა პლეიო ოფში გაირკვევა, რომლის წილისყრაც დღეს ნიონში გაიმართება. პირველადგილოსნები მეორეადგილოსნებს შეხვდებიან. ვთქვათ ისიც, რომ ერთ ჯგუფში მყოფ ნაკრებებს ერთმანეთთან პაექრობა აღარ მოუწევთ. პლეი ოფის პირველი მატჩები 12 ნოემბერს გაიმართება, ხოლო საპასუხო 16 ნოემბერს.



მარჩელო ლიპი



ალესანდრო დელ პიერო

ლიპისთვის დელ პიერო განუმეორებელი აღარ არის

იტალიის ნაკრების თავკაცმა მარჩელო ლიპიმ შოკისმომგვრელი რამ განაცხადა. ალექს დელ პიერო ეგებ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩეს.

მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში „იუვენტუსის" კაპიტანი „სკუადრა აძურას" რეზერვში მაინც ხელშეუხებლად ითვლებოდა. ახლა იგი მოლდოვასთან კი ითამაშებს, მაგრამ... ლიპი უკვე სხვაგვარად ალაპარაკდა:

„გულახდილად გეტყვით, დელ პიერო არ განეკუთვნება იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც გუნდში ადგილი გარანტირებული აქვთ. არის რამდენიმე კაცი, ვისაც უეჭველად ვიახლებ გერმანიაში, დანარჩენებმა კი, ალექსის ჩათვლით, უნდა დაამტკიცონ, რომ ამას იმსახურებენ. თუმცა დელ პიერო ინტელეგენტია. მას ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. თავადაც იცის, თუ ბევრს იშრომებს, პრობლემა არ გვექნება. ყველა კანდიდატს თამაშიდან თამაშამდე დავაკვირდები. მათი ბედი მათსავე ხელშია".

დიდი ხნის განმავლობაში შრომობდნენ ლიპი და დელპიერო მხარდამხარ „იუვენტუსის" საკეთდილდღეოდ და იგი მწვრთნელის ფავორიტადაც ითვლებოდა. სწორედ ამ „სიყვარულს" აბრალებენ ტიფოზები ლეგენდარული რობი ბაჯოს, „ბიანკონერიდან" წასვლას — ლიპიმ და დელ პიერომ ბუდისტს შანსი აღარ დაუტოვესო. ახლა კი ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თავად ალექსის ადგილი აღარ დარჩა „იუვენტუსში". ფაბიო კაპელოსაც ჰყავს საკუთარი ფავორიტები.

ზურაბ გოცირიძე

ნესტას უაზრო ბრალდებებზე ეცინება

ალესანდრო ნესტა კომპიუტერული თამაშებისადმი მანიაკალური სიყვარულით არის ცნობილი, მაგრამ ამის გამო თუ ამდენად ფანტასმაგორულ ბრალდებას წაუყენებდნენ, ვერც კი წარმოიდგენდა. საქმე კი ეს, რაშია: ყველას კარგად მოეხსენება, რომ ალესანდროს სლოვენიასთან მატჩში მარცხენა ხელის მყესი დაუზიანდა და ფეხბურთს საკმაო ხნით ჩამოშორდა. ამან ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ ასეთი ჭორი თუ გავრცელდებოდა, ვინ იფიქრებდა? ნესტამ ტრავმა სინამდვილეში, კომპიუტერის თამაშისას მიიღო!

თავად ფეხბურთელმა ამ ბრალდებაზე ბევრი იცინა: „ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ვინმეს ასეთი რამ აზრად მოუვიდოდა. კომპიუტერის თამაში ძალიან მიყვარს, მაგრამ ტრავმა?"

„როსონერის" ოფიციალურ ვებგვერდზე კი შემდეგი ინფორმაცია განთავსდა:

„ნესტამ „შალკესთან" მატჩში მიიღო დაზიანება. გამოკვლევით დადგინდა, რომ ტრავმა უმნიშვნელო იყო. ამის შემდეგ მან სერია A-ში „რევჯინას" წინააღმდეგ ითამაშა, რასაც მისი ნაკრებში გამოძახება მოჰყვა და...".

ამჟამად უკვე გადაწყვეტილია, რომ იტალიის ნაკრების მცველი ოპერაციას გაიკეთებს. ქირურგიული ჩარევის შემდეგ ნესტა ოთხი კვირა მაინც ვერ გამოვა მწვანე მინდორზე.

ამასობაში „მილანმა" პსჟ-ს მცველ მარიო იეპესს დაადგა თვალი. იტალიური სუპერკლუბი ამას ღიად აკეთებს. სპორტული დირექტორი არიედო ბრაიდა რამდენჯერმე ჩაფრინდა პარიზში, რათა კოლუმბიელი ცენტრალური მცველის თამაშს დაჰკვირვებოდა.

იეპესი 29 წლისაა და საფრანგეთის ჩემპიონატში საუკეთესოდ ითვლება თავის პოზიციაზე. ამბობენ, იგი მილანში იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გადაბარგდებაო, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ეს სეზონის დამთავრების მერე მოხდეს.

ამჟამად „მილანს" ხუთი ცენტრალური მცველი ჰყავს: მალდინი, ნესტა, სტამი, კოსტაკურტა და შიმიჩი. თუმცა მალდინის უკვე აღარ შესწევს ძალა, ყოველ მესამე დღეს ითამაშოს, კოსტაკურტა ოცდაცხრამეტი წლისაა, ისედაც კარგა ხანია, სათადარიგოთა სკამზე ზის და წლის ბოლოს ალბათ დიდი ფეხბურთიდანაც წავა. რაც შეეხება შიმიჩს, იგი ტრანსფერზეა დაყენებული. ამრიგად, „როსონერი" შევსებას ეძებს და „სუპერმარიოს" გარდა კიდევ უდინეზელი დიას ფელიპეს, ჩელსელ ვილიამ გალასისა და „ანდერლეხტის" ახალგაზრდა ვინსენ კომპანის გადაბირებას ცდილობს.

ზურაბ გოცირიძე

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ვერონი შოკირებულია

„ინტერის" ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი გულდაწყვეტილია, რომ ხოსე პეკერმანმა იგი პერუს წინააღმდეგ სათამაშოდ არ გამოიძახა :

„ნამდვილად გაკვირდებული ვარ. დიდ პატივს ვცემ პეკერმანს, მაგრამ ნაკრებში მიმდინარე პროცესები ცოტა უცნაურად მეჩვენება. იტალიის ერთ-ერთი უდიდესი კლუბის წევრი ვარ, ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე მითამაშია და არ მგონია, ჩემი დამსახურებები მთლად ჩამოსაწერი იყოს. ბევრისგან განსხვავებით, ნაკრებიდან წასვლას არ ვაპირებ. სანამ ფეხბურთის თამაში შემეძლება, არგენტინის მაისურის მორგებაზე ყოველთვის ვიოცნებებ. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ 2010 წელს, როცა ოცდათხუთმეტი წლის ვიქნები, ისევ მოვხვდე ნაკრებში, მაგრამ ახლა ნამდვილად შემიძლია, ჩემს სამშობლოს კარგი სამსახური გავუწიო".

ზურაბ გოცირიძე

დი ვაიო იტალიაში ბრუნდება



მარკო დი ვაიოს იტალია მოენატრა

მარკო დი ვაიოს ნათლად აგრძნობინეს, რომ „ვალენსიაში" მომავალი არა აქვს. ამიტომ იანვარში მისი აპენინებზე დაბრუნება გარდაუვალია.

იტალიელმა ბევრი იბრძოლა ძირითადში ადგილის დასაბრუნებლად, მაგრამ კიკე სანჩეს ფლორესის (კლუბის მწვრთნელი) განცხადებამ მის მცდელობებს ხაზი გადაუსვა:

„მას ბევრი კარგი თვისება აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემს გეგმებში არ შედის. ეს ყველაფერი მასაც ვუთხარი, ამას წინათ ერთმანეთს რომ შევხვდით".

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მარკო ესპანეთს უკვე იანვარში დატოვებს. მის აგენტ ფრანკო ძავალიას „გერინ სპორტივო

ეტოოს პენალტის დარტყმა შეეშინდა

კამერუნის ნაკრების მცველმა პიერ ვომემ თანაგუნდელ სამუელ ეტოოს მატყუარა უწოდა. საქმე ისევ იმ, აფრიკელთათვის ავბედით პენალტს ეხება. ეტოოს განცხადებით, გასულ შაბათს ეგვიპტესთან გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანის დარტყმას სწორედ იგი აპირებდა, თუმც ვომემ ბურთი ხელიდან გამოსტაცა და...

„სამუელ ეტოო ცრუობს. იმ ეპიზოდში ვერც მან და ვერც გუნდის დანარჩენმა წევრებმა პენალტის დარტყმა ვერ გაბედეს — იცოდნენ, რომ ვერგატანის შემთხვევაში მუნდიალზე წასვლის ყველანაირ შანსებს ვკარგავდით. ბურთთან ვინმე ხომ უნდა მისულიყო და ეს მე გავაკეთე“ — აღნიშნა გუშინ მილანის „ინტერის“ უკანახაზელმა მედიასთან საუბარში.

სამუელ ეტოო



პიერ ვომე

პიერ ვომემ ეგვიპტის ეროვნულ გუნდთან 94-ე წუთზე დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა და მატჩიც ფრედ, 1:1 მორჩა. შინაურ ჯახში მოპოვებული ერთი ქულა კამერუნელებს არ ეყოთ და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთხოვნენ. გულშემატკივართა მრისხანება კი მთლიანად უიღბლო ვომეს დაატყდა თავს — ფანებმა ფეხბურთელის სახლი და მანქანა ცეცხლს მისცეს.

„პოლიციამ გადამარჩინა [illegible] აუცილებლად მომკლავდნენ [illegible] რი ხასიათ მაქვს, [illegible] ვისა არ მეფიქრება [illegible] და მეგობრების სიცოცხლეზე ძალიან ვნერვიულობ“ — უთხრა [illegible] ტერელმა ჟურნალისტებს.

აფრიკელი უკანახაზელი [illegible] ზე და რამდენიმე თანაგუნდელზე განაწყენებული ჩანს

„როცა პრესაში ეტოოს [illegible] წავიკითხე, ძალიან მეწყინა [illegible] რაფრად დავურეკე და [illegible] ხეზე შეტყობინება დავუტოვე [illegible] რაც შეიძლება, მალე [illegible] ბოდა. მისგან არანაირი [illegible] მიმიღია. ასევე არც ნაკრებში [illegible] ერთ ჩემს თანაგუნდელს [illegible] გაუგებარია, მარტო მე [illegible] დამნაშავე იმაში, რომ კამერუნი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ [illegible] — დაჩივლა აფრიკელმა [illegible].

ლადო ხომერიკი

მატჩისწინა ტრაგედია ბრაზილიაში

„ბელემის“ არენაზე ბრაზილიის ნაკრების ვენესუელასთან მატჩისწინა ვარჯიში ტრაგიკულად დასრულდა. საყვარელი გუნდის სანახავად სტადიონზე მოსული ინჩასები ზედახორაში მოყვნენ და პოლიციამ ვერც პატარა ბავშვის სიკვდილი აიცილა თავიდან და ვერც 70-მდე ფანის მძიმედ დასახიჩრება. „ბელემის“ ტრიბუნები ვარჯიშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე პირთამდე გაიჭედა, თუმც შესასვლელთან სტადიონზე მოხვედრის მსურველი ზღვა ხალხი იდგა... ტრაგედიაც სწორედ იქ დატრიალდა — ასობით ინჩასმა ერთმანეთი გადათელა. სასწრაფო დახმარების მანქანებმა დაშავებულები ჰოსპიტალში წაიყვანა.

პენტაკამპეონების წვრთნას ადრეც უამრავი გულშემატკივარი ესწრებოდა, თუმცა ასეთი რამ არასდროს მომხდარა. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია ინჩასებს ნაკრების ვარჯიშის სანახავად ყოველთვის უფასოდ უშვებს, ოღონდ ფანებმა სანაცვლოდ ერთ კილომდე საკვები უნდა ჩააბარონ სამხრეთამერიკელ უქონელთა დასახმარებლად. მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელი ბრაზილია-ვენესუელას შეხვედრას პრაქტიკულად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სტადიონზე მაინც უამრავი გულშემატკივარი მივიდა. საერთოდ, „ბელემის“ არენაზე ფეხბურთი ძალიან უყვართ. იქაურთა გუნდი მესამე დივიზიონში თამაშობს, თუმცა თავისიანების მატჩებს ყოველ უქმეებზე 28 ათასი ინჩასი ესწრება.

ლადო ხომერიკი

ვუდგეიტის შავი ბედი

ჯონათან ვუდგეიტის თავზე უცნაური რამ ხდება — სამშაბათს ვუდიმ მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში თავისი რიგით მესამე მატჩი ჩაატარა და... რიგით მეორე ავტოგოლიც შეაგდო. პირველად უიღბლო ინგლისელმა ბილბაოს „ატლეტიკთან“ სადებიუტო შეხვედრაში „იხეირა“, ახლა კი „სარაგოსასთან“ ამხანაგურ ჯახში შეძლო გატანა... 11 ოქტომბრის მატჩი „ლა რომრედაზე“ ჩატარდა — „სარაგოსა“ და მადრიდის „რეალი“ ერთმანეთს „კარლოს ლაპეტრას“ თასზე შეერკინენ. ბეჩავმა ვუდიმ ანგარიში გახსნა — სერხიო გარსიას დარტყმა „რეალის“ გოლკიპერმა ლოპესმა უკუაგდო, ოღონდ მერე ბურთი ჯონათანს მოხვდა და კარებში შეგორდა.



ჯონათან ვუდგეიტი

საბოლოოდ მატჩი სტუმარ-მასპინძელმა 2:2 ჩაამთავრა, ხოლო პენალტებში „სარაგოსამ“ მოიგო. „კარლოს ლაპეტრას“ ნაკლებადმნიშვნელოვან ჯილდოს ვინ ჩივის, „რეალის“ უფროსობამ ვუდგეიტის უიღბლობაზე უნდა ინერვიულოს. კაცი სამეფო გუნდში ჩარიცხვის მერე 14 თვე ტრავმის გამო ლაზარეთში ყურყუტებდა. შემდეგ მოედანზე გამოვიდა და პირველივე თამაშში ავტოგოლი შეაგდო (იმ მატჩში მიღებულ წითელ ბარათზე, რომ არაფერი ვთქვათ). ახლა კიდევ... ერთი სიტყვით, ვუდი ნაღდად დათარსულია.

ლადო ხომერიკი

ველაზე ევროპა გაგიჟდა

მექსიკელ კარლოს ველაზე დიდსაფეხბურთო ევროპულმა გრანდებმა ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს. 17-წლამდელთა ნაკრების მოიერიშემ პერუში ახლახან დასრულებულ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე მეტი გოლი შეაგდო და ბოლოს კლუბებიც მისი შეძენით უმალ დაინტერესდნენ. ჭაბუკი მობურთალის მიზანიც ევროპაში, კერძოდ კი ესპანურ პრიმერადივიზიონში კარიერის გაგრძელებაა.

„ბარსელონადან“, მადრიდის „რეალიდან“ და „ვალენსიადან“ შემოთავაზებები უკვე მივიღე. საერთოდაც ესპანეთში გადასვლა მინდა, ოღონდ ჯერ სატრანსფერო წინადადებები კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ“ — უთხრა კარლოს ველამ ესპანურ „მარკას“.

ფეხბურთელის მამისა და წარმომადგენლის, ენრიკე ველას აზრით, მისი ბიჭი 4 მილიონ დოლარზე ნაკლები არ ღირს. ჯერჯერობით ამ თანხის ყმაწვილ მეგოლეში გამეტებას „რეალი“ და „ვალენსია“ აპირებენ, „ბარსას“ შეთავაზება შედარებით მოკრძალებულია. შეგახსენებთ, რომ კარლოს ველა „გვადალახარაში“ ბურთაობას და მისი ხელში ჩაგდება ესპანური გრანდების გარდა იტალიურ „ინტერსა“ და ლონდონის „არსენალსაც“ სურთ.



კარლოს ველა

ლადო ხომერიკი

ლუიშ ფიგუს უკანასკნელი მუნდიალი

ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პორტუგალიის ნაკრებს დატოვებს

„მუნდიალამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი, თუმც ახლავე ვიცი, რომ გადაწყვეტილებას არ შევცვლი. ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დავემშვიდობები“ — განუცხადა ლუზიტანთა ვარსკვლავმა სპორტულ მედიას.

სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ერთხელ უკვე გამოაცხადა ეროვნულ გუნდთან გამოთხოვების შესახებ. ეს 2004-ის ზაფხულში მოხდა, როცა პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში საბერძნეთთან 0:1 წააგო.

„ამჯერად აღარ გადავთქვამ, გერმანია 2006 ჩემთვის ნაკრებთან ერთად ჩატარებულ უკანასკნელი დიდი ტურნირი იქნება“ — თქვა მილანის „ინტერის“ 32 წლის ვეტერანმა.



ლადო ხომერიკი

ხოაკინის სავარაუდო ჩელსი

ესპანური „ბეტისის“ ვარსკვლავის ხოაკინის შეძენით ლონდონის „ჩელსი“ დაინტერესდა. აქამდე 23 წლის ნახევარმცველისთვის გამართულ ომში ყველაზე აქტიური რაფა ბენიტესის „ლივერპული“ ვახლდათ, თუმც გუშინ ფეხბურთელის მამამ და წარმომადგენელმა აურელიო სანჩესმა „მარკას“ განუცხადა, რომ ხოაკინი თავის სამომავლო გუნდად „ჩელსის“ მიიჩნევს.

„მე მაურინიოს რამდენჯერმე ვესაუბრე და გარწმუნებთ, ინგლისელების მწვრთნელი ხოაკინის შესაძენად უკან არანაირ თანხაზე არ დაიხევს. ჩვენც თუ ალბიონზე გადავალთ, ალბათ მომავალი კლუბი „ჩელსი“ იქნება“ — აღნიშნა სევილიელის აგენტმა.

ესპანური მედია ჯერჯერობით მაურინიესა და რომან აბრამოვიჩის მიერ ხოაკინში გამეტებულ მილიონებზე არ საუბრობს, თუმც ინგლისური გაზეთების მიხედვით, ლონდონური კლუბის თავკაცობა მზადაა, საჭირო ფეხბურთელში 37 მილიონი ევრო გადაიხადოს. აღვნიშნოთ, რომ 2005-06-ის ჩემპიონთა ლიგაზე „ბეტისი“ და „ჩელსი“ ერთ ჯგუფში არიან.

ლადო ხომერიკი

ვალერი კარპინი პრეზიდენტობაზე ფიქრობს



რუსეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ვალერი კარპინი შეიძლება, ვიგოს „სელტას“ პრეზიდენტი გახდეს. ესპანური კლუბის ამჟამინდელმა თავკაცმა ორასი გომესმა გუშინ განაცხადა, რომ მალე თანამდებობის დატოვებასა და დასვენებაზე იფიქრებს. კარპინს კი „მარკასა“ და „ასის“ ცნობებით თავის ყოფილი გუნდის საპრეზიდენტო არჩევნებისადმი დიდი დაინტერესება გამოუჩენია.

„სელტა“ ჩემთვის ძალიან ძვირფასია, იქ გატარებულ წლებს ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ. თუ პრეზიდენტად ამირჩიეს, ვეცდები, გუნდს წინასვლაში დავეხმარო“ — თქვა რუსმა, რომელიც „სელტაში“ 5 წლის განმავლობაში ბურთაობდა.

ლადო ხომერიკი

კლინსმანი არ დაურეკავს



მიუნხენის „ბაიერნის“ ფრანგ მცველ ვალერიან ისმაელს გერმანიის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში უნდოდა, მაგრამ ბუნდესმწვრთნელისგან უარი მიიღო.

30 წლის ისმაელს უკვე გადაეწურა იმედი რაიმონ დომენეკისა, რომელმაც საფრანგეთის ნაკრების მაისურა არ აღირსა და გერმანელებს ამიტომაც მიაკითხა. „ბაიერნის“ ფეხბურთელს ამას წინათ უთქვამს, კლინსმანისგან სატელეფონო ზარს ველი და ეგებ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამიყვანოსო.

იურგენ კლინსმანმა კი თქვა: „ისმაელი ძალიან კარგი მცველია, მაგრამ ჩვენი ნაკრების ფეხბუთრელი ვერ გახდება“.

შეგახსენებთ, რომ „შალკეს“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ლინკოლნსაც სურდა ბუნდესნაკრებში თამაში და კლინსმანმა ისიც უარით გაისტუმრა.

ვაჟა ხუციშვილი

ბარტეზს გამოუშვებენ



მსაჯის მიმფურთხებელ ფაბიენ ბარტეზს ზეგ დისკვალიფიკაციის ვადა გასდის. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრებისა და „მარსელის“ მეკარემ ეს „გმირობა“ „რაჯა კასაბლანკასთან“ ამხანაგურ მატჩში ჩაიდინა.

ბარტეზს წლის ბოლომდე ეკრძალებოდა თამაში, მაგრამ საზოგადოებრივ უფასო სამუშაოზე დაყაბულდა და დანაშაული გამოისყიდა. ამიტომ ვადა 15 ოქტომბრამდე შეუმცირეს.

„მარსელის“ მეკარეს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება გაუჭირდება, რადგან იქ ლიონელმა გრეგორი კუპემ მოიკიდა ფეხი და მიუხედავად იმისა, რომ ღამლამობით კონკურენტი ესიზმრება, დათმობას არ აპირებს.

კვირას „მარსელი“ პსჟ-ს დაუხვდება. მასპინძელთა მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა თქვა, ბარტეზი კარში ჩადგება და კაპიტნის სამკლავურსაც დაიბრუნებსო, რაც სედრიკ კარასოს სათადარიგოებში გადანაცვლებას გამოიწვევს.

„ფაბიენს ორი-სამი მატჩი სჭირდება ძველი ფორმის აღსადგენად — განაცხადა ფერნანდესმა — მას მოტივაცია არ აკლია, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად არის. ბარტეზი გუნდის ლიდერია. ის მოედანზე უნდა იყოს“.

კარასოს „დაფრენა“ თუ ბარტეზისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, კუპეს იოლად ვერ მოიშორებს.

„ექვსი წლიდან ნაკრებს მთავარ მეკარეობაზე ვოცნებობდი. რაც ახლა ამიხდა. სპორტსმენი ვარ და შეჯიბრის არ მეშინია. ვფიქრობ, ამჟამად ბარტეზს არ ჩამოვუკარდები და ადგილისვის ვიბრძოლებ“ — თქვა კუპემ.

ვაჟა ხუციშვილი

წითელ ეშმაკებს სხვა მაწვრთნის



ბელგიის ნაკრების სამომავლოდ ახალი მწვრთნელის გამოძებნა მოუწევს. „წითელი ეშმაკების“ ამჟამინდელმა თავკაცმა ემე ანტუენისმა ეროვნულ გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი განაცხადა.

„მუნდიალის შესარჩევებზე ესპანეთთან წაგების შემდეგ ჩავთვალე, რომ ბელგიის ნაკრებს 2008 წლამდე აღარ ვუხელმძღვანელებ. ჯობს, ეს საქმე ახალმა მწვრთნელმა იკისროს“ — განაცხადა ანტუენისმა.

„ეშმაკები“ გასულ შაბათს ლუის არაგონესის ესპანეთთან 2:0 დამარცხდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს გამოემშვიდობნენ. ანტუენისის სავარაუდო შემცვლელებად ოდინდელი მობურთალი და დღეს „გენკის“ დამრიგებელი მარკ ვილმოტსი „ანდერლეხტის“ მწვრთნელი ჰუგო ბროსი და ოურქული „გალათასარაის“ თავკაცი ერიკ გერეტსი მოიაზრებიან.

ლადო ხომერიკი

კამერუნი მწვრთნელს ფიასკოს პატიობს



არტურ ჟორჟე კვლავაც კამერუნის ნაკრების მწვრთნელად დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით აფრიკელმა „ლომებმა“ მუნდიალის შესარჩევში ფიასკო განიცადეს, იქაურმა თავკაცობამ მაინც არჩია, ძველ დამრიგებელთან გაგრძელოს თანამშრომლობა.

„არტურ ჟორჟესთან ერთად კამერუნის ეროვნულმა გუნდმა აფრიკის თასი უნდა მოიგოს. მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსების დაკარგვა ავტომატურად მწვრთნელის მოხსნას არ ნიშნავს. ნაკრებისთვის სასარგებლო ახალი პროექტების განხორციელება ყველაზე უკეთ სწორედ ჟორჟეს შეუძლია“ — განაცხადა კამერუნის სპორტის მინისტრმა ფილიპ მბოამ.

შეგახსენებთ, რომ არტურ ჟორჟე კამერუნელთა მწვრთნელად იანვარში დანიშნეს გერმანელი ვინფრიდ შეფერის მაგივრად. პატივცემული მინისტრის მიერ ნახსენები აფრიკის თასის გათამაშება კი სამი თვის შემდეგ ეგვიპტეში გაიმართება, სწორედ იმ ქვეყანაში, რომლის ნაკრების დამარცხებაც პორტუგალიელის სადამრიგებლო გუნდმა ვერაფრით ვერ შეძლო და გერმანიას ამიტომაც დაემშვიდობა.

ლადო ხომერიკი

ტურინი სულ სხვაა

კაპელომ და ვიეირამ ერთმანეთი გააოცეს

ტურინის „იუვენტსის" მმართელებმა და ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სასურველი ფეხბურთელის შერჩევის შესაშური ნიჭი აქვთ. ვგულისხმობთ პატრიკ ვიერას ტრანსფერს, რომელსაც ბევრი ალმაცერად უყურებდა. ფრანგის ასაკისა თუ ბოლოდროინდელი სათამაშო ფორმის გამო. 29 წლის მოთამაშემ კი კაპელოს იმედი არ გაუცრუა, მეტიც, გააოცა კიდეც. ვიეირა „ბებერ ქალბატონს" მყისვე მეორგო, ნახევარდაცვა შეადუღაბა და უკვე თავდასხმასაც ეხმარება — მის ანგარიშზე 3 გოლია. ქვემოთ სწორედ პატრიკ ვიეირას საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ინტერვიუს გთავაზობთ

— ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჩათვლით ყველა მატჩი მოიგეთ. რაშია „იუვენტუსის" საიდუმლო?

— საუკეთესო მაგალითი „ინტერთან" მოგებული მატჩი იყო. ბევრმა ჩვენი ნახევარდაცვის კარგ თამაშს მიაქცია ყურადღება და სამართლიანადაც, მაგრამ მთავარი გუნდური სულია. „იუვენტუსში" ყველა თავისთვის და თანაგუნდელისთვის თამაშობს. პარტნიორებს იმედი ყოველთვის გვაქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

— ბევრი, მათ შორის თქვენი თავკაცი ფაბიო კაპელო, ემერსონი-ვიეირას წყვილს მსოფლიოში უძლიერესს უწოდებს...

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ემერსონთან ერთად აღმოვჩნდი. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია და საქმეს ერთიორად მიადვილებს. ემერსონი ოდნავ უკან თამაშობს, რაც მე შეტევებში ჩართვის საშუალებას მაძლევს და უკვე სამი გოლიც შევაგდე. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნახევარდაცვის ცენტრს მხოლოდ ჩვენ ვაკონტროლებთ. ისეთი კარგი მოთამაშეები გვეხმარებიან, როგორებიც ჯულიანო ჯანიკედა და მანუელე ბლაზია. მართალია, კაპელო ბოლო დროს ბლაზის მარჯვენა მცველად ათამაშებს, მაგრამ ეს იმაზე მეტყველებს, თუ როგორ აფასებს მწვრთნელი მანუელეს და მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა არ უნდა.

— დაახლოებით ორი თვეა, რაც „იუვენტუსში" ხართ. ტურინზე რას გვეტყვით?

— მთავარი ის გახლავთ, რომ მე უდიდეს სიამოვნებას ვიღებ ამ კლუბში ყოფნით. „იუვენტუსი" უბრალოდ სერია A-ში ექვსივე მატჩის მომგები გუნდი არ არის, ეს მთლიანად კლუბის ბრწყინვალე ინფრასტრუქტურაა. აქ ყველა საერთო საქმეს აკეთებს და თავდაუზოგავად შრომობს. ასე რომ, ჩვენი წარმატება თითოეული რიგითი თანამშრომლის დამსახურებაა.

— შეგიძლიათ, ტურინი ლონდონს შეადაროთ, სადაც ამდენი წელი გაატარეთ?

— ლონდონი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია, სადაც უამრავი ხალხი ირევა, ტურინი კი სულ სხვაა. აქ ფეხბურთელები თავს მყუდროდ გრძობენ. ტურინი ამ მხრივ მილანს მაგონებს, მაგრამ იქ მაინც უფრო ხშირად ხვდები ჟურნალისტებისა თუ ავტოგრაფების მოყვარულთა ხელში. აქაურები საკმაოდ ჩაკეტილი ხალხია და შენს პირად ცხოვრებაშიც არ ერევიან. ქალაქში სეირნობა, კინოში ან რესტორანში სიარული მსიამოვნებს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ქომაგებიც მხვდებიან, მაგრამ ყველაფერი ნორმის ფარგლებშია.

— „არსენალიდან" წამოსვლისას არჩევანის საშუალება თუ გქონდათ და ხომ არ ნანობთ, რომ „იუვენტუსი" აირჩიეთ?

— ყველაფერს დრო გვაჩვენებს. ახლა მე ძალიან ბედნიერი ვარ. ძლიერი, ამბიციური და ჩემი შესაფერისი კლუბი ავირჩიე. თანაც მსიამოვნებს, რომ გუნდის თავკაცს სწორედ ჩემი შეძენა უნდოდა. მერწმუნეთ, ყველა ფეხბურთელისა თუ ზოგადად ადამიანის ცხოვრება ეტაპებად იყოფა, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. ჩემი ლონდონური ეტაპი კი დასრულდა და ახალი დაიწყო.

— „არსენალისადმი" ნოსტალგიას არ განიცდით?

— არა. თუმცა ლონდონში 9 ბრწყინვალე წელი გავატარე და იქ ბევრი მეგობარი მყავს. მათ ტელეფონით ხშირად ვესაუბრები.

— ლონდონელებს კი თქვენ აშკარად ძალიან აკლიხართ...

— არ ვიცი, შესაძლოა. თუმცა ეს ბუნებრივიცაა. „არსენალში" სერიოზული ცვლილებებია. როგორც ვატყობ, კლუბი ნელ-ნელა ამ სირთულეებს უმკლავდება, რაც მახარებს.

— „მილანიდან" ცხრა წლის წინ წახვედით. როგორია იტალიური ფეხბურთი ახლა?

— კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აქ აუტსაიდერები ლიდერებს ნამდვილ ბრძოლას უწყობენ, ხოლო დაცვა თითოეულ გუნდს ძალიან ძლიერი ჰყავს. როდესაც სერია A-ს მატჩებს ტელევიზორში ვუყურებდი, ვამჩნევდი, რომ მინდორზე ხშირად ცარიელი ადგილი არ რჩებოდა, რაც მიკვირდა, სანამ რეალურად არ ვიხილე. ნებისმიერი კლუბის მცველები ბოლომდე იხარჯებიან და ფორვარდებს გასაქანს არ აძლევენ.

— ბევრს სერია A სწორედ ამიტომ არ უყვარს. ამბობენ, რომ ეს ლამაზ და ეფექტურ ფეხბურთს კლავს.

— ადრე ალბათ ასეც იყო. თუმცა ბოლო წლებში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. „იუვენტუსზე" არ ვისაუბრებ, რათა არაობიექტურობაში არ ჩამეთვალოს. მაგალითად, „მილანი" და „ინტერი" ავიღოთ, რომლებიც დიდი ხანია, დაცვაში აღარ იკეტებიან. ნახეთ, რამდენი ვარსკვლავი ჰყავთ მათ წინა ხაზზე. შეტევა უყვარს „რომას", „უდინეზეს" და ასე შემდეგ.

— ფაბიო კაპელოს სტილზე რას გვეტყვით. ისევე მუშაობს, როგორც ცხრა წლის წინ „მილანში"?

— უნდა ვაღიარო, რომ ფაბიო კაპელომ გამაოცა.

— მაინც რითი?

— იმით, რომ ადამიანი, რომელსაც თითქმის ყველაფერი მოუგია, კვლავ ასეთი ენთუზიაზმით ეკიდება უაღრესად დამღლელ საქმეს. კაპელოს პათოლოგიური მისწრაფება აქვს ტიტულებისა და რეკორდებისკენ და არასდროს კმაყოფილდება. მას შეუძლია, მიზნად [illegible] ბევრი რამ [illegible] ხვდავს. თუმცა შეგირდებისგანაც მაქსიმუმს ითხოვს და ძალიან მკაცრია. იგი ხშირად მოგებული მატჩებითაც უკმაყოფილოა. მისი საიდუმლოც სწორედ ამაშია.

— შეგვიძლია, კაპელო მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დავასახელოთ?

— არ ვიცი, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად არის. მსოფლიოში კიდევ არიან ბრწყინვალე სპეციალისტები, თუმცა ამბიციური და მიზანდასახული გუნდისთვის კაპელო ზედგამოჭრილია.

— ბოლო ორი „ოქროს ბურთი" სერია A-ს წარმომადგენლებს გადაეცა. ვის მისცემდით ხმას წლეულს?

— იმ წლებში, როდესაც ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატი არ ტარდება, ჯილდოს მოპოვების საუკეთესო შანსი ჩემპიონთა ლიგის მომგები კლუბის რომელიმე ლიდერს აქვს. თუმცა „ლივერპულში" ღირსეულ კანდიდატს ვერ ვხედავ და საერთოდ ფავორიტის დასახელება მიჭირს.

— თავად არ გაქვთ „ოქროს ბურთის" მოგების სურვილი?

— მე ეს არ მაღელვებს. თანაც „ოქროს ბურთს" მხოლოდ თავდამსხმელებს ან შემტევ ნახევარმცველებს აძლევენ. ბოლო წლებში მხოლოდ ზამერმა მოახერხა, [illegible] მისი მოპოვება. [illegible] ისეთი ლეგენდარული მოთამაშეს არ მიუღია, როგორიც პაოლო მალდინია და როგორ ფიქრობთ, ღირს ამაზე ფიქრი?

— რას ისახავთ მიზნად ამ სეზონი?

— იმას, რასაც „იუვენტუსი" ანუ ბოლომდე ვიბრძოლოთ სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად. თანაც ორივეს მოპოვების დიდი სურვილი მაქვს. თუმცა თანაგუნდელებთან საუბრებში ვხვდები, რომ მათ უფრო ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება სწადიათ.

— ჩემპიონთა ლიგაში თქვენს მთავარ კონკურენტად ვის თვლით?

— რასაკვირველია, „ბარსელონას".

— კატალონიელები „ჩელსიზე" ძლიერ კლუბად მიგაჩნიათ?

— დიახ. „ბარსელონას" უფრო სახიფათო შემადგენლობა ჰყავს. კატალონიელთა სუსტი წერტილი დაცვაა, მაგრამ ნახევარდაცვა და თავდასხმა იმდენად ძლიერია, რომ ამით სარგებლობის შანსი ხშირად არ გეძლევა. „ჩელსი" კი უფრო დაბალანსებული და უაღრესად შეკრული გუნდია, მაგრამ ამავდროულად უფრო პრიმიტიულიც. ლონდონელებს არ ჰყავთ რონალდინიო, მესი, დეკო და ეტოო.

— და რომელი მილანური კლუბი მიგაჩნიათ ფავორიტად ჩემპიონთა ლიგაში?

— ორივე ძალიან ძლიერია, გამორჩევა არ ღირს. თანაც [illegible] კონკურენტებზე საუბარი. მე „იუვენტუსის" ფეხბურთელი ვარ და მხოლოდ ჩვენს წარმატებაზე ვფიქრობ. სხვის მინუსს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და ჩვენი პლუსებით ვაჯობოთ. დღევანდელ „იუვენტუსს" კი იმდენი პლუსი აქვს, რომ ნამდვილად შეგვიძლია, ვიამაყოთ. იმედია, ბევრ გამარჯვებას მოვიპოვებთ.

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
15:45	1	უიგანი-ნიუკასლი	2.70	3.30	2.40	1.48	1.27	1.38
18:00	2	ჩელსი-ბოლტონი	1.25	4.70	12.00	1.00	1.13	3.37
18:00	3	ვესტ ბრომვიჩი-არსენალი	5.30	3.60	1.60	2.14	1.22	1.10
18:00	4	ლივერპული-ბლექბერნი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
18:00	5	ტოტენჰემი-ევერტონი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
18:00	6	სანდერლენდი-მანჩესტერი	7.00	3.60	1.50	2.37	1.23	1.05
20:15	7	მიდლსბრო-პორტსმუთი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
		16 ოქტომბერი						
15:00	8	ბირმინგემი-ასტონ ვილა	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
19:00	9	სიტი-ვესტ ჰემი	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
		17 ოქტომბერი						
23:00	10	ჩარლტონი-ფულემი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98

ინგლისი. ჩემპიონატი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
15:30	11	ბარნლი-ლიდსი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
18:00	12	ქოვენთრი-კრისტალ პალასი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
18:00	13	ქრიუ-ლუტონი	2.80	3.30	2.25	1.51	1.24	1.33
18:00	14	დერბი-სტოკი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
18:00	15	ნორვიჩი-მილუოლი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
18:00	16	პლიმუთი-უენსდი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:00	17	პრესტონი-ქპრ	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:00	18	ბრაიტონი-კარდიფი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
18:00	19	შეფილდი-ვულვერჰემპტონი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
18:00	20	საუთჰემპტონი-ჰალი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:00	21	უოტფორდი-ლესტერი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		16 ოქტომბერი						
16:30	22	რედინგი-იფსვიჩი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86

ინგლისი. I ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
18:00	24	ბრენტფორდი-სუინდონი	1.50	3.40	6.50	1.04	1.21	2.23
18:00	25	ბრისტოლი-ტრანმერი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	26	კოლჩესტერი-ბორნმუთი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
18:00	27	დონკასტერი-საუთენდი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	28	ჯილინგემი-იოვილი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
18:00	29	ჰადერსფილდი-უოლსოლი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
18:00	30	დონსი-ჩესტერფილდი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	31	ნოტინგემი-ჰარტლპული	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
18:00	32	პორტ ვეილი-ბრედფორდი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
18:00	33	სკანთორპი-როტერჰემი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
18:00	34	სუონსი-ოლდემი	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
18:00	35	ბარნსლი-ბლეკპული	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82

ინგლისი. II ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 ოქტომბერი						
22:45	36	ჩელტენემი-გრიმსბი	2.35	3.20	2.55	1.35	1.22	1.41
22:45	37	ნორთჰემპტონი-ოქსფორდი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
		15 ოქტომბერი						
18:00	38	როჩდეილი-ნოტსი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
18:00	39	შრიუსბერი-სტოკპორტი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
18:00	40	რექსემი-ტორკი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
18:00	41	უიკომბი-რაშდენი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
18:00	42	ბერი-დარლინგტონი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
18:00	43	კარლაილი-მენსფილდი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	44	ლეიტონი-ლინკოლნი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
18:00	45	მაკლსფილდი-პიტერბრო	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	46	ბარნეტი-ჩესტერი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
18:00	47	ბოსტონი-როვერსი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64

შოტლანდია. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
18:00	59	სელტიკი-ჰარტსი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
18:00	60	დანფერმლაინი-ფოლკირკი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
18:00	61	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
18:00	62	ინვერნესი-აბერდინი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
18:00	63	მოზერუელი-ლივინგსტონი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
		16 ოქტომბერი						
17:00	64	დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი	7.00	4.00	1.35	2.54	1.13	1.00

შოტლანდია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
18:00	65	დანდი-სტრანრარი	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
18:00	66	სტ.მირენი-როსი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
18:00	67	კლაიდი-ჰამილტონი	2.60	3.30	2.25	1.45	1.20	1.33
18:00	68	სტ.ჯონსტონი-ბრეჩინი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
18:00	69	ქუინი-ერდრი	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37

შოტლანდია. II დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
18:00	70	ეარი-ალოა	1.80	3.50	3.40	1.18	1.17	1.72
18:00	71	დამბარტონი-რეითი	2.70	3.40	2.10	1.50	1.18	1.29
18:00	72	ფორფარი-სტირლინგი	1.70	3.40	3.80	1.13	1.17	1.79
18:00	73	პარტიკი-მორტონი	2.60	3.50	2.15	1.49	1.17	1.33
18:00	74	პიტერჰედი-გრეტნა	4.30	3.60	1.60	1.95	1.16	1.10

შოტლანდია. III დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
18:00	75	ალბიონი-კოუდენბითი	3.60	3.50	1.75	1.77	1.17	1.16
18:00	76	არბროთი-ელგინი	1.80	3.50	3.40	1.18	1.17	1.72
18:00	77	ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი	1.45	4.00	5.50	1.06	1.14	2.31
18:00	78	მონტროუზი-ქუინზ პარკი	2.35	3.50	2.50	1.40	1.21	1.45
18:00	79	სტენჰაუზმური-ბერიკი	2.25	3.50	2.55	1.36	1.19	1.47

გერმანია. I ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ოქტომბერი						
17:30	80	ჰამბურგი-ვოლფსბურგი	1.60	3.50	5.40	1.09	1.23	2.12
17:30	81	ლაუტერნი-დორტმუნდი	2.55	3.30	2.50	1.43	1.26	1.42
17:30	82	არმინია-ჰერტა	3.10	3.30	2.15	1.59	1.26	1.30
17:30	83	მაინცი-ლევერკუზენი	2.90	3.30	2.25	1.54	1.26	1.33
17:30	84	შალკე-ბაიერნი	2.50	3.30	2.55	1.42	1.26	1.43
17:30	85	შტუტგარტი-გლადბახი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
17:30	86	ვერდერი-ნიურნბერგი	1.35	4.50	8.00	1.03	1.15	2.88
		16 ოქტომბერი						
19:30	87	დუისბურგი-აინტრახტი	1.95	3.30	3.60	1.22	1.26	1.72
19:30	88	კიოლნი-ჰანოვერი	2.00	3.30	3.40	1.24	1.25	1.67

გერმანია. II ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 ოქტომბერი						
21:00	89	ალენი-კარლსრუე	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
21:00	90	ჰანზა-აუე	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
21:00	91	მიუნხენი 1860-პადერბორნი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
		16 ოქტომბერი						
17:00	92	ოფენბახი-ზიგენი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
17:00	93	ფრაიბურგი-ზაარბრიუკენი	1.40	3.80	6.80	1.02	1.16	2.43
17:00	94	ფიურტი-ბურგჰაუზენი	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
17:00	95	ბრაუნშვაიგი-ბოხუმი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
17:00	96	კოტბუსი-უნტერჰახინგი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 ოქტომბერი						
22:15	97	დინამო-ალემანია	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		15 ოქტომბერი						
20:30	116	ადმირა-ტიროლი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
20:30	117	მატერსბურგი-გრაცერი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
20:30	118	რაპიდი-ზალცბურგი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
20:30	120	შტურმი-პაშინგი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
		16 ოქტომბერი						
17:30	119	რიდი-აუსტრია	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19
		ავსტრია. I დივიზიონი						
		14 ოქტომბერი						
21:00	121	ალტახი-აუსტრია(მ)	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
21:00	122	კაფენბერგი-ლეობენი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
21:00	123	კერნტენი-გრატკორნი	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
21:00	124	კუფშტაინი-აუსტრია(ლ)	3.90	3.40	1.75	1.81	1.20	1.15
21:00	125	შვანენშტადტი-ლინცერი	3.00	3.20	2.00	1.54	1.20	1.23
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		14 ოქტომბერი						
21:30	126	თუნი-სტ.გალენი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
		16 ოქტომბერი						
16:15	127	ივერდონი-ქსამაქსი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
18:00	128	აარაუ-იანგ ბოიზი	2.65	3.30	2.30	1.46	1.23	1.35
18:00	129	შაფპაუზენი-გრასჰოპერი	3.20	3.40	2.00	1.64	1.23	1.25
18:15	130	ციურიხი-ბაზელი	2.45	3.30	2.50	1.40	1.23	1.42
		იტალია. სერია A						
		15 ოქტომბერი						
20:00	140	სიენა-უდინეზე	2.60	3.00	2.65	1.39	1.31	1.40
22:30	141	იუვენტუსი-მესინა	1.20	5.30	13.00	1.00	1.09	3.76
		16 ოქტომბერი						
17:00	142	ლაციო-ფიორენტინა	2.60	3.00	2.70	1.39	1.32	1.42
17:00	143	პალერმო-კიევო	1.70	3.10	5.50	1.09	1.29	1.98
17:00	144	პარმა-ტრევიზო	1.70	3.10	5.65	1.09	1.30	2.00
17:00	145	რეჯინა-ლეჩე	2.15	3.00	3.40	1.25	1.31	1.59
17:00	146	ასკოლი-სამპდორია	3.30	3.00	2.20	1.57	1.32	1.26
17:00	147	ემპოლი-რომა	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
17:00	148	ინტერი-ლიეორნო	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
22:30	149	კალიარი-მილანი	6.50	3.40	1.55	2.23	1.25	1.06
		იტალია. სერია B						
		14 ოქტომბერი						
22:45	152	ტრიესტინა-მოდენა	2.40	2.70	3.00	1.27	1.33	1.42
		15 ოქტომბერი						
18:00	153	ვერონა-არეცო	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
18:00	154	რიმინი-კრემონეზე	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
18:00	155	ტერნანა-ტორინო	3.10	2.80	2.25	1.47	1.30	1.24
18:00	156	მანტოვა-კატანია	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
18:00	157	პესკარა-ბრეშა	2.45	2.80	2.85	1.30	1.31	1.41
18:00	158	პიაჩენცა-ჩეზენა	2.20	2.80	3.20	1.23	1.30	1.49
18:00	159	ალბინოლეფე-აველინო	2.05	2.80	3.70	1.18	1.31	1.59
18:00	160	ბარი-ატალანტა	2.60	2.80	2.70	1.34	1.32	1.37
18:00	161	ბოლონია-ვიჩენცა	1.55	3.20	6.50	1.04	1.25	2.14
		17 ოქტომბერი						
22:45	162	კატანძარო-კროტონე	2.50	2.80	2.80	1.32	1.32	1.39
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		15 ოქტომბერი						
20:00	182	ალავესი-ვილიარეალი	2.75	3.10	2.45	1.45	1.29	1.36
23:45	184	ატლეტიკო-რეალი	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
22:00	187	დეპორტივო-ბარსელონა	3.30	3.20	2.10	1.62	1.28	1.26
		16 ოქტომბერი						
23:00	183	ბილბაო-სევილია	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
19:00	185	ბეტისი-ხეტაფე	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
21:00	186	ესპანიოლი-კადისი	1.75	3.40	4.30	1.15	1.24	1.89
19:00	188	მალიორკა-რასინგი	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
19:00	189	ოსასუნა-სელტა	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
21:00	190	ვალენსია-მალაგა	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
19:00	191	სარაგოსა-სოსიედადი	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		15 ოქტომბერი						
21:00	192	ალბასეტე-ელჩე	1.90	3.10	3.80	1.17	1.26	1.79
20:30	194	კასტელონი-ვალიადოლიდი	2.95	3.00	2.30	1.48	1.29	1.30
20:30	195	ტარაგონა-ფეროლი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
20:30	197	მალაგა ბ-ლევანტე	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37
20:30	201	უელვა-ეხიდო	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
		16 ოქტომბერი						
20:00	193	ალმერია-ეიბარი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
21:00	196	პერკულესი-სიუდადი	2.25	2.90	3.15	1.26	1.31	1.50
19:00	198	მურსია-ლეიდა	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
19:00	199	ნუმანსია-სპორტინგი	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
19:00	200	რეალი(ბ)-ლორკა	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
14:00	202	სერესი-ტენერიფე	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
		საფრანგეთი						
		I დივიზიონი						
		15 ოქტომბერი						
19:15	203	ნანტი-სტ.ეტიენი	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
22:00	204	სტრასბური-რენი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
22:00	205	ოსერი-ტრუა	1.65	3.20	5.20	1.08	1.25	1.98
22:00	206	ბორდო-სომო	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
22:00	207	ლე მანი-ლილი	2.45	2.80	2.90	1.30	1.32	1.42
22:00	208	ლანსი-ნიცა	1.75	3.00	5.00	1.10	1.29	1.87
22:00	209	მონაკო-მეცი	1.45	3.50	7.50	1.02	1.21	2.38
22:00	210	ნანსი-ტულუზი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
		16 ოქტომბერი						
23:00	211	მარსელი-პსჟ	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
20:00	212	ლიონი-აიაჩო	1.35	4.50	7.00	1.03	1.13	2.73
		საფრანგეთი						
		II დივიზიონი						
		14 ოქტომბერი						
22:30	214	მონპელიე-ისტრი	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
22:30	215	ვალენსიენი-კლერმონი	1.90	2.90	3.90	1.14	1.27	1.66
22:30	216	ლე ავრი-სედანი	2.30	2.80	3.00	1.26	1.30	1.44
22:30	217	ამიენი-რეიმსი	1.85	2.90	4.20	1.12	1.28	1.71
22:30	218	ბასტია-ლორიანი	1.85	2.90	4.30	1.12	1.29	1.73
22:30	219	კაენი-გრენობლი	1.90	2.90	3.80	1.14	1.26	1.64
22:30	220	შატორუ-სეტე	1.70	3.00	5.20	1.08	1.28	1.90
22:30	221	კრეტეი-ლავალი	1.70	2.90	5.00	1.07	1.26	1.83
		16 ოქტომბერი						
18:30	223	გენიონი-დიჟონი	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
		17 ოქტომბერი						
22:30	222	ბრესტი-გენგამი	2.15	2.80	3.20	1.21	1.28	1.49
		ბელგია. I დივიზიონი						
		15 ოქტომბერი						
20:00	224	მუსკრონი-ბეერსხოტი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
22:00	225	ლიერსი-ვარეგემი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
22:00	226	ლოკერენი-შარლერუა	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
22:00	227	ბევერენი-ანდერლეხტი	4.50	3.40	1.65	1.93	1.20	1.11
22:00	228	ბრიუგე-ვესტერლო	1.55	3.60	5.30	1.08	1.19	2.14
22:00	229	ბრიუსელი-სერკლი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
22:00	230	რუზელარე-ლუვიე	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		16 ოქტომბერი						
20:00	231	სტ.ტრუიდენი-გენტი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
22:00	232	გენკი-სტანდარდი	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		14 ოქტომბერი						
22:30	242	ტილბურგი-სპარტა	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
		15 ოქტომბერი						
21:30	243	პსვ-ალკმაარი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
21:30	244	ბრედა-პერენეენი	1.80	3.50	3.60	1.18	1.20	1.77
22:00	245	ტვენტე-ვალვაიკი	2.05	3.30	3.10	1.26	1.23	1.59
22:15	246	აიაქსი-პერაკლესი	1.25	4.60	8.50	1.00	1.08	2.98
		16 ოქტომბერი						
16:30	247	ფეიენოორდი-გრონინგენი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
16:30	248	ნაიმეგენი-როზენდალი	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
16:30	249	ვიტესი-დენ ჰაგი	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
18:30	250	როდა-უტრეხტი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		14 ოქტომბერი						
22:00	251	ვეენდამი-აპელდორნი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
22:00	252	გრააფსხაპი-ექსელსიორი	2.40	3.40	2.45	1.40	1.21	1.42
22:00	253	დორდრეხტი-ეინდჰოვენი	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
22:00	254	ზვოლე-ვენლო	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
22:00	255	ჰელმონდი-ემენი	2.00	3.40	3.10	1.25	1.21	1.62
22:00	256	მაასტრიხტი-იგლსი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
22:00	257	ალმერე-კამბური	2.80	3.30	2.10	1.51	1.20	1.28
22:00	258	ოსი-სიტარდი	1.95	3.40	3.10	1.23	1.19	1.62
		16 ოქტომბერი						
16:30	259	ვოლენდამი-დენ ბოსხი	2.05	3.30	2.90	1.26	1.20	1.54
16:30	260	ჰაარლემი-ტელსტარი	2.15	3.20	2.80	1.28	1.21	1.49
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		14 ოქტომბერი						
23:45	268	რიუ ავე-ბრაგა	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
		15 ოქტომბერი						
20:30	263	ვიმარაეში-ნასიონალი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
23:45	267	პორტუ-ბენფიკა	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
		16 ოქტომბერი						
19:00	261	ამადორა-მარიტიმუ	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
20:00	264	ლეირია-ფერეირა	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
23:45	265	ნავალი-ბელენენსეში	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	266	პენაფიელი-სეტუბალი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
22:15	269	სპორტინგი-აკადემიკა	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
		17 ოქტომბერი						
23:30	262	ბოავიშტა-ჟილ ვისენტე	1.65	3.40	4.60	1.11	1.21	1.95
		საბერძნეთი						
		15 ოქტომბერი						
17:00	279	ატრომიტოსი-ლევადეიაკოსი	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
20:00	280	კალამარია-ეგალეო	2.45	3.00	2.70	1.34	1.28	1.42
21:00	284	პანათინაიკოსი-აკრატიტოსი	1.10	7.50	15.00	1.00	1.02	5.00
		16 ოქტომბერი						
21:00	281	იონიკოსი-აეკ	3.50	3.10	1.95	1.64	1.25	1.19
16:30	282	ოფი-ოლიმპია	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
20:00	283	ოლიმპიაკოსი-პაოკ	1.45	3.60	7.00	1.03	1.20	2.37
17:30	285	პანიონიოსი-კალითეა	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
		17 ოქტომბერი						
22:00	286	ქსანთი-ირაკლისი	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
		თურქეთი						
		16 ოქტომბერი						
15:00	287	ანკარა-კონია	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
15:00	288	ბურსა-ქთაში-კაისერი	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
15:00	289	დენიზლი-მანისა	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
15:00	290	დიარბაქირი-გაზიანთეფი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
15:00	291	ერჟიესი-გალათასარაი	4.20	3.40	1.70	1.87	1.21	1.13
15:00	292	ფენერბაჰჩე-ანკარაგიუჯიუ	1.20	5.30	11.00	1.00	1.08	3.57
15:00	293	ვენილერი-სივასპორი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
15:00	294	რიზე-მალათია	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
15:00	295	სამსუნი-ტრაბზონი	3.90	3.30	1.75	1.78	1.20	1.14
		რუსეთი						
		15 ოქტომბერი						
15:00	297	ტერეკი-როსტოვი	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52
15:00	298	ტომსკი-ამკარი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
15:00	299	ტორპედო-სატურნი	1.80	3.10	4.30	1.13	1.26	1.80
		16 ოქტომბერი						
15:00	296	ლოკომოტივი-შინიკი	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
14:00	300	სპარტაკი-ზენიტი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
15:00	301	ცსკა-რუბინი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
15:00	302	კრილია-მოსკოვი	2.55	2.90	2.75	1.35	1.32	1.41
15:00	303	ალანია-დინამო	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		პოლონეთი						
		14 ოქტომბერი						
22:00	312	ლეჩნა-ლეხი	2.25	3.20	2.70	1.32	1.22	1.46
		15 ოქტომბერი						
20:00	313	ლეგია-პლოცკი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
20:00	314	არკა-ამიკა	2.90	3.10	2.15	1.49	1.23	1.26
20:00	315	ბელჩატოვი-პოლონია	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
20:00	316	კრაკოვია-ოდრა	1.80	3.30	3.90	[illegible]	[illegible]	1.78
20:00	317	ეურნიკი-კორონა	2.10	3.10	3.20	[illegible]	[illegible]	1.57
22:00	318	გროცლინი-პოგონი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		16 ოქტომბერი						
19:00	319	ზაგლებე-ვისლა	4.30	3.20	1.70	1.83	1.21	1.11
		ჩეხეთი						
		15 ოქტომბერი						
16:25	320	მოსტი-სლავია	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
20:00	321	სპარტა-ბლშანი	1.30	4.70	7.50	1.01	1.10	2.88
22:00	322	სლოვაკეკო-ბანიკი	2.05	3.00	3.20	1.21	1.24	1.54
		16 ოქტომბერი						
17:30	323	იპლავა-ტეპლიცე	2.90	3.00	2.20	1.47	1.25	1.26
19:00	324	ბოლესლავი-პლზენი	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
19:00	325	პრეიბრამი-ზლინი	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99
19:00	326	ბრნო-იაბლონეკი	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47
		17 ოქტომბერი						
18:40	327	ლიბერეკი-სიგმა	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
		დანია. სუპერლიგა						
		15 ოქტომბერი						
19:00	354	მიდტიულანდი-ვიბორგი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
		16 ოქტომბერი						
17:00	352	ესბიერგი-ოლბორგი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
17:00	353	ჰორსენსი-ნორდსიელანდი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
17:00	355	ოდენსე-ორჰუსი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
17:00	356	სილკებორგი-კოპენჰაგენი	4.20	3.50	1.70	1.90	1.21	1.14
19:30	357	სიონდერიისკე-ბრიონდბიუ	5.80	3.70	1.55	2.25	1.22	1.09
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		15 ოქტომბერი						
18:00	366	სტარტი-ალესუნდი	1.45	4.00	6.50	1.06	1.18	2.47
		16 ოქტომბერი						
20:00	367	ვიკინგი-ვოლერენგა	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
20:00	368	ლინი-ტრომსიო	1.80	3.40	4.20	1.17	1.25	1.87
20:00	369	ოდ გრენლანდი-ჰამარი	2.25	3.40	2.80	1.35	1.24	1.53
20:00	370	ფრედრიკსტადი-მოლდე	2.15	3.40	3.00	1.31	1.25	1.59
22:05	371	რუსენბორგი-ბრანი	1.65	3.60	4.80	1.13	1.22	2.05
		17 ოქტომბერი						
21:00	372	ლილეტრომბოდი ელმერ	1.70	3.60	4.50	1.15	1.23	2.00
		შვედეთი. ალსვენსკა						
		16 ოქტომბერი						
19:00	381	გეფლე-მალმიო	4.20	3.50	1.75	1.90	1.23	1.16
19:00	382	ჰეკენი-კალმარი	2.75	3.30	2.35	1.50	1.26	1.37
19:00	383	ჰალმსტადი-ასირისკა	1.25	5.20	9.50	1.00	1.10	3.36
		17 ოქტომბერი						
21:00	384	ჰამარბი-გიოტებორგი	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
21:00	385	ლანდსკრონა-სუნდსვალი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
21:00	386	იორგრიტე-იურგორდენი	3.70	3.50	1.85	1.79	1.23	1.21
21:00	387	ელფსბორგი-ჰელსინგბორგი	2.35	3.40	2.70	1.38	1.25	1.50
		ჰოკეი. შვედეთი						
		13 ოქტომბერი						
21:00	654	ფრიოლუნდა-ლულეო	1.40	4.40	4.00	1.06	1.03	2.09
21:00	655	მორა-სიოდერტელიე	2.05	4.10	2.20	1.36	1.06	1.43
21:00	656	ლინხიოპინგი-იურგორდენი	1.35	4.50	4.00	1.03	1.00	2.11
21:00	657	ჰვ 71-ფერიესტადი	2.10	4.00	2.20	1.37	1.07	1.41
21:00	658	მოდო-ლეკსანდი	1.55	4.20	3.40	1.13	1.06	1.87
21:00	659	ტიმრე-ბრიუნესი	1.95	4.00	2.40	1.31	1.07	1.50
		კალათბურთი. იტალია						
		13 ოქტომბერი						
22:30	802	ბიპოპი-ტერამო	1.25	12.00	3.50	1.13	1.00	2.70
22:30	803	ბენეტონი-აველინო	1.05	12.00	7.00	1.00	1.00	4.42
22:30	804	კანტუ-უდინე	1.40	12.00	2.70	1.25	1.00	2.20
22:30	805	ლივორნო-რომა	2.50	12.00	1.45	2.06	1.00	1.29
22:30	806	სიენა-ბიელა	1.15	12.00	5.00	1.04	1.00	3.52
22:30	807	ნაპოლი-მილანი	2.10	12.00	1.60	1.78	1.00	1.41
22:30	808	როზეტო-ბოლონია	2.70	12.00	1.35	2.20	1.00	1.21

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ნიკორამ თსუ ფინალში გაიყვანა

დუდუს თასი ახალი პატრონის მოლოდინშია

12 ოქტომბერი

თსუ 114:104 სტუ

36:23 33:30 24:18 21:33

თსუ: ი. ბერიშვილი (22), ი. მაისურაძე (9), ლეჟავა (11), კეშელავა (8), ტყეშელაშვილი (12), მარხვაშვილი (17), ბ. ბერიშვილი (10); ფანჩულიძე (10), ხიზანიშვილი (5), ვეფხვაძე (6), სანიკიძე (2), ბერაია (2)

სტუ: ნინუა (7), მიქაძე (11), კეიდია (17), ლოსაბერიძე (12), ახალკაცი (24), მათიაშვილი (8), კორხეიძე (4), შანიძე (17), მურჯიკნელი (4), გაგნიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

დინამო 74:84 რუსთავი

15:26 24:19 18:19 17:20

დინამო: ვ. მაისურაძე (12), ლაფანაშვილი (20), სუხიშვილი (19), დევიძე (2), ბადრიძე (10), გულისაბედაშვილი (3), წიფწიავაძე (6), ძიძიგური (6), დერიუგინი

რუსთავი: არწივიძე (9), ულენტი (12), გოგობერიშვილი (11), დანელიანი (17), ლიპარტელიანი (2), ჭოჭუა (27), კურტანიძე (2), ჩაჩუა (4)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ავიამშენი 103:70 მაკაბი

35:18 13:25 25:22 30:5

ავიამშენი: ხოშტარია (22), ნოწელია (6), დ. ბერიშვილი (16), ორმოცაძე (11), ბ. ნოზაძე (5), ჩხატარაშვილი (5), მოსეშვილი (1), მარკოიშვილი (19), როდუმტა (6), ბ. ბერიშვილი (12)

მაკაბი: ნინოშვილი (7), გ. შერმადინი (12), მერებაშვილი (3), ვაშაკიძე (18), ფიცხელაური (10), დოლიძე (7), კორკოტაძე (13), ს. შერმადინი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი



გიორგი მარხვაშვილი სტუ-ს ფარქვეშეთის ხშირი სტუმარი იყო

მაჩარა დულუბავაშვილის ფოტო

ირაკლი პერტაია

ესეც ასე — დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირის ფინალისტები ცნობილნი არიან. თუ „ავიამშენის“ B ჯგუფში გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, გუშინდლამდე არ იყო გარკვეული, ვინ გავიდოდა ფინალში A ჯგუფიდან. ჰოდა, ეს ამბავი თბილისის სახელმწიფო და ტექნიკურ უნივერსიტეტთა გუნდების ჯახს უნდა გადაეწყვიტა — ნახევარფინალის ტოლფას მატჩს.

კომპანია „ნიკორას“ სპონსორობამ თსუ-ს ამბიცია ხომ შეჰმატა და, ქომაგთა შტოც გაუჩინა. გუშინ ვერის ბაღში ისეთი სახეები ვიხილეთ, რომელთათვისაც მანამდე თვალი არ მოგვიკრავს. თსუ-ს ჩაგდებულ ბურთზე ეს ხალხი ტაშს უკრავდა და იოლი მისახვედრი იყო, ვის ქომაგობდა. როცა მათი ვინაობით დავინტერესდით, აღმოჩნდა, რომ კომპანია „ნიკორას“ თანამშრომლები იყვნენ.

ზურგს რომ ქომაგები გიმაგრებენ, გვარიანი სტიმულია, თუმც თუ გუნდად არ ვარგიხარ, გულშემატკივარი ვერაფერს გიშველის. თსუ-ს კი არც ერთი აკლია და არც მეორე. საკმაოდ სიმპათიური გუნდია და თამაშის ხარისხითაც გამოირჩევა.

გასულ ჩემპიონატში თსუ-მ მაქსიმუმს მიაღწია, მესამე ადგილი დაიკავა და ამ გუნდს ჩვენმა და სხვა გაზეთებმაც სათანადო ხოტბა შეასხეს.

თსუ იყო ყველაზე მებრძოლი და ლაღად მობურთალი გუნდი, რომლის წევრებსაც ხელფასი არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც გულიანად იბრძოდნენ. ახლა სტუდენტებს წელგამართული სპონსორი გამოუჩნდათ, მოთამაშეებიც შეიმატეს და თამაშის ხარისხიც თავისთავად გაუმჯობესეს.

თსუ-ს თავკაც მამუკა ტურაშვილს ახლა უფრო მეტი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავს და გუნდიც ორ ხუთეულად გაყო. სტუსთან მატჩში მას ხან ერთი ხუთეული გამოჰყავდა და ხან მეორე, თავი კი ერთსაც არ შეურცხვენია.

თავიდან სტუ კი გალიდერდა, მაგრამ მალევე ამოქმედდა თსუ-ელთა ფეხმარდი გამთამაშებელი ირაკლი ბერიშვილი. მან საწყის მეოთხედში ოთხი ბურთი ჩაჭრა, ქულებიც ზომიერად იხვეჭა და საწყისი ათწუთეულის პირველი ნახევარი თავისიანებს 16:8 მოაგებინა.

თსუ თითქმის ყველაფერში ჯაბნიდა მეტოქეს. ვითარება არც მაშინ შეიცვალა, როცა ტურაშვილმა ხუთივე მოთამაშე შეცვალა.

„ნიკორას“ გამთამაშებლად ახლა გიორგი მარხვაშვილი ჰყავდა, რომელიც ბერიშვილზე არანაკლები სიზუსტით თამაშობდა და პირველი მეოთხედის ბოლოს თსუ-ს უპირატესობამ 13 ქულას მიაღწია — 36:23.

მცირე შესვენების შემდეგ სტუმა ფარის გამაგრება სცადა, თუმც ნიკორელებმა ლუკა შანიძისა და რიჩარდ მათიაშვილის ფარქვეშა ჯახირი შორი ტყორცნებით უფრო გააუფერულეს. მარხვაშვილმა და ბესიკ ლეჟავამ მიჯრით ყარეს სამქულიანები და ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე თსუ უკვე 20 ქულას იგებდა — 57:37.

აქედან მოყოლებული მეტად უინტერესო ბრძოლა იყო, ვიდრე ბოლო მეოთხედი არ დაიწყო. ოცქულიანი სხვაობა მეტ-ნაკლებად ნარჩუნდებოდა და გადამწყვეტი მეოთხედის წინაც თსუ 93:71 იგებდა.

22-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა დიდი იშვიათობაა და სასწაული ამჯერადაც არ მომხდარა, თუმცა სტუ-ს განწირულმა თამაშმა ბრძოლას ინტრიგა დაუბრუნა და ნიკორელები გვარიანად ანერვიულა.

მეოთხე ათწუთეულის დასაწყისიდანვე აბობოქრდა გულივერ ახალკაცი, რომელმაც თსუ-ს ფარქვეშეთში ამბები დაატრიალა, მტერს და ავს. ახალკაცი სამწამიანში გაბატონდა და 4 წუთში 12 ქულა მიითვალა. მას ვერანაირი წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ თსუელები, რომლებმაც „ბოლო მოუბულად“ ჩათვალეს და [illegible]

შედეგად, სამ წუთში სტუ 9 ქულას აგებდა, ოთხში — [illegible] ამ დროს მოედნიდან პერსონალურების ლიმიტის გამო თსუ-ს ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ ფანჩულიძე გავარდა.

თსუ-ს ჩამოსცხა, მაგრამ სტუელთა მოწადინება იმდენად დიდი იყო, გონზე მოსასვლელად კიდევ რამდენიმე წუთი დასჭირდა. ზეიად მიქაძემ თსუ-ს დაბნეულობით ისარგებლა და განუწყვეტლივ ახალგაზრდულებდა გარღვევებს. ნიკორელები მას ჯარიმებით ანერგებდნენ და ზვიადმაც ოთხი წარმატებული საპენალო ტყორცნის შემდეგ სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა — 94:98 სირენამდე სამი წუთით ადრე.

ახლა კი მარილა სტუსაკეთის ხელი დატრიალდა და თსუ-ს ქომაგები აფორიაქდა. ვითარება ვიცოდა მარხვაშვილმა და ირაკლი ბერიშვილმა განმუხტეს. ამაზე სტუ-მ ტექნიკური ჯარიმები აიღო, რომლებიც თსუ-ს უკანახახელებმა უბადლოდ შეასრულეს. ბერიშვილმა სულაც უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩაჭრა თამაშის ბოლო წუთზე და ორი საჯარიმოთი წერტილი დააწესა ტექნიკოსთა ჯახირს.

დადიანის თასის მფლობელი სტუ-ს ძლევით თსუ ფინალში გავიდა და იქ ლევან მოსიმბელის „ავიამშენს“ დაეჯიდება, მესამე ადგილისთვის კი სტუ და ბუსოვანელი „აზოტი“ იბრძოლებენ ჭეშმარიტ ქართველებმა გუშინ ფესვიანობისთვის ბრძოლის უფლება „დადამოს“ ძლევით მოიპოვეს.

მაშ ასე — დღეს 16 საათზე დუდუ დადიანის თასს ახალი მფლობელი გამოუნდება. აქამდე არც თსუ-ს მოუგია ეს ტიტული და არც ავიამშენს.

A ჯგუფი

თსუ-ნიკორა	2	2	0	229:185	4
სტუ	2	1	1	222:227	3
სსუ	2	0	2	194:233	2

B ჯგუფი

ავიამშენი	3	3	0	263:218	6
რუსთავი	3	2	1	245:213	5
დინამო	3	1	2	233:226	4
მაკაბი	3	0	3	191:275	3

ფრენბურთელები ალმასკომს ელიან

ქართველ ქალებს პასუხს ნოემბერში ეტყვიან

ცნობილი ქართულ-ფრანგულ-შვედური საფრენბურთო სკანდალი კარგა ხანია, მიჩუმდა, თუმცა დასრულებამდე ჯერაც ბევრი უკლია. საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოტანილი სანქცია საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ მიღებისთანავე გასაჩივრა. ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა თქვა, რომ სიახლე სავარაუდოდ 15 ოქტომბრამდე უნდა გარკვეულიყო. ამ დღეს იწურებოდა ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობის მსურველ ნაკრებთა განაცხადების შეტანის ვადა, ქართველ ქალებს კი ჯერჯერობით საერთაშორისო არენაზე თამაში აკრძალული აქვთ.

გუშინ ლევან ახვლედიანისგან შეიტყვეთ, რომ განაცხადების შეტანის ვადა ფრენბურთის მთავარჩინოსნებს 1 ნოემბრამდე გადაუწევიათ, ხოლო ქართული საჩივარი ჯერაც განუხილველია.

„მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცით, ჩვენს ქალთა ნაკრებს საქმის ხელმეორედ განხილვის შემდეგ რა სასჯელს გამოუტანენ, მომავალი ციკლისთვის განაცხადი მაინც გავაგზავნეთ. ასევე წარვადგინეთ ვაჟთა ნაკრების განაცხადიც. კენჭისყრა 19 ნოემბერს გაიმართება, იქამდე ოთხი დღით ადრე კი ალმასკომის სხდომას ჩაატარებენ, რომელზეც ჩვენს სანქციაზე ერთხელაც იმსჯელებენ და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ“ — გვითხრა ახვლედიანმა.

ოთარ მაღლაკელიძე

ალმასკომის ფოტო

მარიას შინაურმა კედლებმა აწყინა



AFP მოსკოვიდან

მარია შარაპოვა დამარცხებას ანა-ლენა გრენეფელდის ტრავმამ გადაარჩინა

ATP

მოსკოვი

მაგარსაფარი

საპრიზო 1 300 000 $

I წრე

ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) — 6:2 6:3

ანასტასია მისკინა (რუსეთი, 6) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — 2:6, 6:4, 6:2

II წრე

მარია შარაპოვა (რუსეთი, 1) — ანა-ლენა გრენეფელდი (გერმანია) — 1:6, 2:4 (შეწყდა)

მარი პირსი (საფრანგეთი, 3) — ფლავია პენეტა (იტალია) — 4:6 6:2 6:3

კრემლის თასის გათამაშებაზე მეორე წრის შეხვედრები დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ განთესილ მოთამაშეთა უმეტესობა ტურნირზე სწორედ ამ ეტაპიდან ერთვება. თუმცა სანამ მეორე წრის მატჩებზე გადავიდოდეთ, პირველი წრის დარჩენილი შეხვედრებზეც ვთქვათ.

გუშინ მეორე წრეში ასპარეზობის უფლება რუსებს — ვერა ზვონარიოვამ და ანასტასია მისკინამ გაინაღდეს. პირველს არ გასჭირვებია ორ სეტში თავისი თანამემამულე მარია კირილენკოს დამარცხება. ეს, რაც შეეხება კრემლის თასის შარშანდელ გამარჯვებულ მისკინას, მას ბულგარელ მალეევასთან მატჩში დიდი ჯაფა დაადგა. რუსი უმრავ უბრალო შეცდომას უშვებდა და ბევრს ნერვიულობდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისკინას მიერ წლეულს ჩაგდებული სეზონი ტრავმების კი არა, ცუდი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ბრალი უფროა. როგორც არ უნდა იყოს, ამ მატჩში რუსმა შეძლო გამკლავებოდა თავის ნერვებს და მეორე წრეშიც გავიდა. მისკინას მეტოქე აქ ჩეხი კვეტა პეშკე იქნება.

რაც შეეხება მეორე წრის თამაშებს, მათგან უნდა გამოიყოს მარია შარაპოვას დაპირისპირება გერმანელ გრენეფელდთან, რომელიც მეტად გასაოცარი სცენარით წარიმართა. კრემლის თასზე დებიუტი შარაპოვას კინაღამ ჩაშხამდა. ეტყობა, მას შინაურმა კედლებმა აწყინა — მარია ცუდად აწოდებდა, ბევრ უნებლიე შეცდომას უშვებდა და ნერვიულობდა. შედეგად პირველი სეტიც ოოლად დაკარგა ანგარიშით 1:6. მდგომარეობა არც მეორე სეტში გამოსწორებულა. შარაპოვა კვლავაც უაღრესად ცუდად თამაშობდა და ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ტურნირზე პირველი სენსაცია დაფიქსირდებოდა, თუმცა მარიას მშობლიურმა მიწამ, ამ შემთხვევაში კორტმა, უშველა. მეორე სეტში, როცა ანგარიში 4:2 იყო გრენეფილდის სასარგებლოდ, გერმანელს ფეხი უხერხულად გადაუტრიალდა, ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ მოახერხა. შარაპოვა ავტომატურად გავიდა შემდეგ ეტაპზე, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ რუსი საკუთარ თამაშს იპოვის და მხოლოდ იღბლის იმედზე აღარ იქნება.

ცუდად დაიწყო მატჩი კრემლის თასის კიდევ ერთმა ფავორიტმა ფრანგმა მარი პირსმა. მან პირველი სეტი წააგო, მაგრამ მომდევნო ორში მეტად შთამბეჭდავი თამაში აჩვენა და მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა.

WTA

მოსკოვი

მაგარსაფარი

საპრიზო 975 000 $

I წრე

სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — 4:6 6:3 6:3

გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი) — მიკაელ ლოდრა (საფრანგეთი) — 6:3 6:1

მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 3) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) — 6:4 6:3

იგორ კუნიცინი (რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 6:4 6:4

დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) — უარი

II წრე

ნიკლას კიფერი (გერმანია, 6) — ფლორიან მაიერი (გერმანია) — 6:4 6:3

მაქს მირნი (ბელარუსია, 4) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) — 4:6 6:3 6:1

თუ კრემლის თასის ქალთა ტურნირზე განთესილები ასე თუ ისე კვლავ აგრძელებენ ასპარეზობას, ვაჟთა გათამაშებაში უკვე რამდენიმე სენსაცია დაფიქსირდა.

ასპარეზობას ტურნირის მეორე ნომერი სლოვაკი დომინიკ ჰრბატი გამოეთიშა, რომელმაც სამ სეტში წააგო ფართო წრეებისთვის უცნობ ფრანგ სირილ სოლნიესთან. სლოვაკი, რომელიც ბოლო პერიოდში მშვენიერ ფორმაშია, ალბათ არ მოელოდა, რომ ფრანგი პირველი სეტის წაგების შემდეგ შეძლებდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას. მაგრამ სოლნიემ ბოლომდე იბრძოლა და გამოკდილი მოწინააღმდეგის დამარცხება შეძლო.

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი იყო ახალგაზრდა რუსი იგორ კუნიცინის მიერ გამოკდილი ფრანგი ფაბრის სანტოროს დამარცხება. ამისთვის რუსს მხოლოდ ორი სეტი დასჭირდა.

შემდეგ ეტაპზე გასვლა არ გასჭირვებია ადგილობრივ ფანთა ფავორიტ მოსკოველ მიხაილ იუჟნის. მან ორ სეტში დაამარცხა ჩეხი ლუკაშ დლუჰი, თამაშის შემდეგ კი იუჟნიმ განაცხადა, ჩემი ამჟამინდელი მომზადების დონე იმის უფლებას მაძლევს, რომ კრემლის თასის მოგებაზე ვიფიქროო.

გუშინ მეორე წრეც დაიწყო და პირველი მეოთხედფინალისტების ვინაობაც ცნობილი გახდა. აქ ასპარეზობის უფლება გერმანელმა ნიკლას კიფერმა და ბელარუსმა მაქს მირნიმ მოიპოვეს.

კახა ლოგაჯვილი



AFP მოსკოვიდან

ანა-ლენა გრენეფელდი

რეგულარული ჩემპიონატი

AFP ტორონტოდან

ტორონტო — ფილადელფია

ჯეფიმ ცას ახედა და...

11 ოქტომბერი

ტორონტო 4:2 ფილადელფია

1:1 1:1 2:0

1:0 ტაკერი (8), 1:1 კნუბლი (18), 2:1 ვეღვუდი (25), 2:2 განიე (38), 3:2 ონილი (48), 4:2 ლინდროსი (54)

რამდენი ტკვინის შერყევა გადაიტანა ერიკ ლინდროსმა, მაგრამ მაინც აგრძელებს კარიერას და იმასაც კი ახერხებს, თავის ყოფილ კლუბ „ფილადელფიას" შეახსენოს, რომ თამაში ახლაც არ დავიწყებია.

ცხრა სეზონი უერთგულა ლინდროსმა „ფილადელფიას", მერე კი გუნდი გენერალურ მენეჯერ ბობი კლარკთან კონფლიქტის გამო დატოვა. ამიტომ მისთვის „მფრინავებთან" ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. სწორედ ლინდროსის გოლმა გატეხა საბოლოოდ სტუმრები.

ამ თამაშს კიდევ ერთი ემოციური მომენტი ახლდა. წლეულს „ტორონტოში" გადასულ ჯეფ ონილს ზაფხულში უფროსი ძმა, დონი, მოუკვდა, თანაც ეს სწორედ ტორონტოში მოხდა ჯეფის ტრეიდამდე ორი კვირით ადრე. რა თქმა უნდა, უმცროსი ონილისთვის ტორონტოში თამაში ყოველთვის დიდ განცდასთან არის დაკავშირებული, მაგრამ სამშაბათს მან სეზონში პირველი გოლი გაიტანა და ეს მოვლენა საგანგებო ჟესტით აღნიშნა. როგორც კი შაიბა კარში აღმოჩნდა, ჯეფიმ ცას ახედა და... იმქვეყნად მყოფ ძმას თითქოს მიესალმა ხელით.

„ბოლო სამი თვე სამ წელიწადად მომეჩვენა. ძალიან რთულია დღეს ამაზე საუბარი, მაგრამ ჰოკეის თამაში ოდნავ მაინც მიმსუბუქებს ტკივილს. სეზონის დაწყებამდე დავიფიცე, რომ ჩემს პირველ შაიბას ძმას მივუძღვნიდი და ასეც მოვიქეცი" — თქვა ნამატჩევს ონილმა.

ლოს ანჯელესი 3:1 ედმონტონი

1:1 1:0 1:0

1:0 კორვო (14), 1:1 ბერჟერონი (17), 2:1 ბრაუნი (37), 3:1 ბელანჟე (42)

დალასი 3:2 ფინიქსი

1:0 1:1 1:1

1:0 მიეტინენი (10), 1:1 გოტიე (24), 2:1 ი. იოკინენი (39), 3:1 მოდანო (51), 3:2 მარა (60)

სენტ ლუისი 4:1 ჩიკაგო

3:0 0:0 1:1

1:0 მაკამონდი (1), 2:0 მაკკლემენტი (11), 3:0 იანგი (18), 4:0 დრეიკი (42), 4:1 არნასონი (53)

ახალბედა ჯეი მაკკლემენტმა თავისი, როგორც მეგოლის, ანგარში ლიგაში ერთობ უჩვეულოდ გახსნა. პირველი პერიოდის შუაგულში მისი გარღვევა მცველებმა აკრძალული ილეთით შეაჩერეს, რის გამოც მსაჯებმა ბულიტი დანიშნეს, რომელიც დებიუტანტმა ჩინებულად შეასრულა.

მონრეალი 2:4 ოტავა

1:1 1:1 0:2

0:1 ხარა (3), 1:1 კოივუ (15), 2:1 ბეგინი (28), 2:2 ალფრედსონი (39), 2:3 ვერმეტი (43), 2:4 ალფრედსონი (55)

ქალები პეკინს მუშტს ულერებენ

სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციამ თხოვნით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს განიხილოს 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ქალთა კრივის შეტანის საკითხი.

აცემინებენ თუ არა ქალებს ერთმანეთს პეკინში, ამას სოკ-ის მესაჯურნი 26-28 ოქტომბერს ლოზანაში გადაწყვეტენ. ამასობაში სამოყვარულო კრივის ფედერაცია თადარიგი იჭერს და ამბობს, ამჯერად თუ არ გამოგვივა, 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადისთვის მაინც ვცდით ბედსო.

კიმის სოლო უფრო რთული იყო

კიმი რაიკონენი

გასულ კვირას იაპონიაში „მაკლარენ-მერსედესის“ პილოტ კიმი რაიკონენის ფანტასტიკური გამარჯვება, რა თქმა უნდა, კიდევ დიდხანს იქნება ფორმულა 1-ის ქომაგთა და სპეციალისტთა მსჯელობა-აღფრთოვანების საბაბი.

ეს იყო წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სპექტაკლი, რომელშიც მთავარი როლები „სამეფო რბოლების“ ახალმა გვირგვინოსანმა, ფერნანდო ალონსომ და მეორე პრიზიორმა რაიკონენმა ითამაშეს. სოლო პარტია შეასრულა „ყინულის კაცმა“ კიმიმ, რომელმაც ბრძოლა ოცბოლიდიანი ქარავნის ბოლოდან, მეჩვიდმეტემ დაიწყო, მაგრამ ბრწყინვალედ გათვლილ-განხორციელებული ტაქტიკით ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა.



დღემდე რეკორდსმენი ჯონ უოტსონი

ასე უკანა სასტარტო პოზიციიდან გამარჯვება უიშვიათესი ამბავია და, როგორც ცხრილიდან ჩანს, დღემდე ჩატარებულ 749 საპირველფორმულო ეტაპზე სულ ორ-სამჯერ მომხდარა. ამდენი წინმავალის გვერდის ავლა ხომ მეტად რთული და სარისკო საქმეა.

სამძღოლო ვაჟკაცობის ეს თავისებური რეკორდი უკვე 22 წელიწადია, ირლანდიელ ჯონ უოტსონს ეკუთვნის. 36 წლის მძღოლმა ლონგ ბიჩის ტრეკზე 26-მანქანიან პელოტონს დაფეთებულმა ჩაუშხუილა და ნახევარი წუთით მიასწრო მეორე ადგილზე გასულ თანამაკლარენელ ნიკი ლაუდას, რომელიც სტარტზე ჯონის უკან იდგა.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის „დასავლეთის დიდი პრიზისთვის“ იმ რბოლას 12 პილოტი გამოეთიშა. თითქმის ასევე მოხდა ხუთი წლის წინათ „ჰოკენჰაიმრინგზე“ რუბენს ბარიკელოს ტრიუმფისას — ფინიშამდე თერთმეტმა ვერ მიაღწია.

ამდენად, უფრო მეტადაა დასაფასებელი 25 წლის რაიკონენის დიდებული მიღწევა, რადგან „სუძუკას“ ტრასაზე მხოლოდ ერთი მასზე წინ მდგომი გამოაკლდა ქარავანს.

გია ახალაძე

მოგება უარესი პოზიციიდან

მრბოლელი	ქვეყანა	გუნდი	პოზიცია	რბოლა
ჯონ უოტსონი	დიდი ბრიტანეთი	მაკლარენი	22	აშშ — 1983
რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	ფერარი	18	გერმანია — 2000
ჯონ უოტსონი	დიდი ბრიტანეთი	მაკლარენი	17	აშშ — 1982
კიმი რაიკონენი	ფინეთი	მაკლარენი	17	იაპონია — 2005
ჯეკი სტიუარტი	დიდი ბრიტანეთი	ტირელი	16	ს. აფრიკა — 1973
მიხაელ შუმახერი	გერმანია	ბენეტონი	16	ბელგია — 1995
ალან ჯოუნსი	ავსტრალია	შედოუ	14	ავსტრია — 1977
ჯონი ჰერბერტი	დიდი ბრიტანეთი	სტიუარტი	14	ევროპა — 1999
ბრიუს მაკლარენი	ახალი ზელანდია	კუპერი	13	არგენტინა — 1960
ალენ პროსტი	საფრანგეთი	ფერარი	13	მექსიკა — 1990



მსოფლიოს ჩემპიონატი

27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა



პეტერ სვიდლერმა ვესელინ ტოპალოვი ვერ შეაჩერა

XI ტური

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	0,5:0,5	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)
პეტერ ლეკო (უნგრეთი)	0:1	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)
რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)	0,5:0,5	მაიკლ ადამსი (ინგლისი)
ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	0,5:0,5	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)

1	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	9 ქულა
2	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	7,5
3	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	7,5
4	ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	6
5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	5
6	რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)	5
7	მაიკლ ადამსი (ინგლისი	4,5
8	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	3,5

ტოპალოვი შორს წავიდა, ადამსმა კი მოგება ჯერ არ იცის

ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი კი 1,5 ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს და საეჭვოა, ვინმე დაეწიოს. ჩემპიონობისთვის ბულგარელ სტომატოლოგს ერთი ქულაც ჰყოფნის.



ტოპალოვმა და სვიდლერმა პარტია 21-ე სვლაზე დაასრულეს

ბოლო ტურებში ტოპალოვის მთავარ კონკურენტად რუსი პეტერ სვიდლერი ითვლებოდა და მეთორმეტე ტურში ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. სვიდლერი დინჯად შეუდგა თამაშს, მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და მსუბუქი ფიგურების განვითარებას შეუდგა. მე-12 სვლაზე რუსმა პაიკით შეუტია, ტოპალოვმა იგი მხედრით მოკლა და საპასუხოდაც დაარტყა. პარტია ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა. ბულგარელმა მაშინვე მძიმე ძალები გამოიყვანა, მე-19 სვლაზე შავებს ლაზიერი გაუცვალა და ორ სვლაში მისთვის სასურველ ყაიმს გამოჰკრა ხელი.

იმარჯვა პირველ ნომრად განთესილმა ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა, მეორე-მესამე ადგილზე აცოცდა და ახლა ლიდერ ტოპალოვს 1,5 ქულით ჩამორჩება.

ანანდმა და პეტერ ლეკომ პეტროვის დაცვა გაითამაშეს. ინდუსმა თავიდანვე მხედრებით შეუტია უნგრელს, შემდეგ ლაზიერიც მიახმარა და ცენტრში უპირატესობას დაეუფლა. მე-17 სვლაზე ინდუსმა სახიფათო იერიში განახორციელა, კუ-ლაზიერით თეთრ ხელმწიფეს შეუხტა. ლეკომ მძიმე ძალები მეფისკენ გაუშვა, შავ რაზმს დააჯახა და მდგომარეობა შედარებით განმუხტა. ამდენმა იერიშებმა წყობა აუშალა უნგრელს, რითაც ანანდმა ისარგებლა, შეტევა გააძლიერა და 32-ე სვლაზე ორი პაიკით გავიდა წინ. ანანდმა ეტლ-ლაზიერის წყვილი მეფეზე მიუშვა, გაცვლებს მიმართა და 53-ე სვლაზე დააშამათა.

ყაიმით დაასრულა შეხვედრა მაიკლ ადამსმა და კვლავ ერთადერთია ჩემპიონატზე, ვისაც თამაში არ მოუგია.



AFP ანაბეჭდიდან

ᲑᲔᲘᲡᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲭᲧᲚᲔᲢᲐ

ლოსანჯელესელმა ადამ კენედიმ ისეთი ძალით სცა კეტი ბურთს, რომ მის დასაჭერად გაქანებული ორი ნიუიორკელი „იანკი“, გარი შეფილდი (11) და ბუბა კრესბი ჯერ ერთმანეთს შეასკდნენ, მერე კი შორეულ დამცავ ლეიბებს.

AFP იბრაჰიმიდან

ᲓᲠᲝᲒᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲑᲐᲒᲑᲝ

სპილოს ძვლის ნაპირმა პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. ამ მართლაცდა ისტორიული მოვლენის გამო პრეზიდენტმა ლორან გბაგბომ გუნდი სასახლეში მიიწვია. დიდიე დროგბა რომ მთავარ კაცად იყო, ლაპარაკი არ უნდა. აგე, როგორი დაცვით გამოაცილეს.

AFP ამიჯანიდან



AFP ლაიფციგიდან

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲐᲓ

ლაიფციგში, მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიური დაშნით განიგმირა ჩინელი ჟანგ ლიანგლიანგი. ჩემპიონი შეიქნა იტალიელი სალვატორე სანცო (მარჯვნივ).

ᲐᲡᲐᲨᲝᲠᲘᲣᲛ ᲘᲫᲐᲚᲐ

გასრულდა ლას ვეგასის დიდი სუმოობა. გამარჯვებული შეიქნა ტომით მონდოლი ოიუუტუნა ასაშორიუ, რომელმაც შეკიბრის მესამე დღეს ყველა რჩეული დასცა. ეს დიდი რაღაცაც მას გადასცეს.



AFP ლას ვეგასიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲯᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნინიბაშვილი, კახა შალამბერიძე
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გიორგი ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორიშვილი, ლევანი ხალმერიცა, ალეკო ხუციშვილი

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲭᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გია ახალაძე, ოთარ ძაღლიკიძე, ირაკლი პერტაია
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ: გურამ დოლენჯაშვილი, ბაღრი კეთილაძე
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ლია ბესელია, ჩოლუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელეუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფაღი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფუნაძე, თამარ ქინჭლაძე, ნუნუ წერეთელი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.sarbieli.com.ge